ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 5 სექტემბერი, 2016 №210 (7136) ფასი: 50 თეთრი

## სოსო ჯოხაძის მკვლელობაში ბრალდებულ ბადრი ნათობაძეს პატიმრობა შეეფარდა

რა კავშირი აქვს 3 პირის დაკავებას ჯოხაძის მკვლელობასთან



გვ.3

# „ოცნება“ და ნაცმოძრაობა შეთანხმდნენ – შუა უნდა გაიკრიფოს“



გვ.2

## გია ხუხაშვილი: „ბურჭულაძეს აქვს შანსი, გახდეს მესამე ძალა“



„დღეს ძალიან საინტერესო სიტუაციაა შექმნილი – არჩევნებში ვინც მონაწილეობს, ყველა იმ პარტიის ჯამური რეიტინგი იმაზე ნაკლებია, ვიდრე გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა. შესაბამისად, მთელი პოლიტიკური ელიტა არ არის ლეგიტიმური, მით უმეტეს, არაა ლეგიტიმური „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ისინი დიდი ხანია უმცირესობაში არიან და ერთადაც კი ვერ აყალიბებენ მთავრობას. ყველა კვლევა ამაზე მიუთითებს“

## „თეთრი შურით მშურს თქვენი, რადგან თქვენ ხართ პირველები ამ დიდი ცვლილებების პროცესში“




გვ.4

პრემიერ-მინისტრი 150 ახალი საწარმოს წარმომადგენლებს შეხვდა

## ვის უჭერს მხარს „ოცნება“ – ჩოჩელს თუ ხუნდაძეს?

გვ.3





დაპირისპირება მცხეთაში

„ნაციონალებს სისხლს გავუშრობთ“

## სოსო შატბერაშვილი: „ნათელაშვილი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია“

გვ.5



გვ.6



## ემზარ ჯგერენაია: „არცერთი პარტია არ ამბობს, რის ხარჯზე გაზრდის პენსიებს“

ISSN 1987-9385

# „ოცნება“ და ნაცმოძრაობა შეთანხმდნენ — შუა უნდა გაიკრიფოს“

შორენა მარსაგიშვილი

## გია ხუხაშვილი: „ბურჭულაძეს აქვს შანსი, გახდეს მესამე ძალა“





რატომ იქნება ივანიშვილისთვის ტელეეკრანზე ხშირი გამოჩენა წამგებიანი, რაზე გარიგდნენ „ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება. რატომ ხორციელდება ბურჭულაძეზე შეტევა, რა მოჰყვება გოგა ხაინდრავას გახმაურებული ფილმის ჩვენებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– ბიძინა ივანიშვილის განცხადება, არჩევნებზე ჩვენი მთავარი კონკურენტი ნაციონალური მოძრაობის ორი ფრთა იქნებაო, ნიშნავს თუ არა იმას, რომ მომავალ პარლამენტში მხოლოდ ამ 3 პარტიას ვიხილავთ?***

– ეს განცხადება წმინდა წყლის პოლიტტექნოლოგიური საკითხია. ნეგატიური ბრძოლის მეთოდი ასეთია, უნდა შექმნა მტრის ხატი და შუაგაკრეფილ, მოსუფთავებულ პოლიტიკურ ველზე გამართო ბრძოლა. სინამდვილეში ყველას კარგად გვესმის, რომ „ოცნების“ მთავარი კონკურენტი არც ძველი და არც ახალი ნაცმოძრაობა არ არის. მისი მთავარი ოპონენტი არის საზოგადოება, რომელსაც სერიოზული პრეტენზიები აქვს მმართველ გუნდთან. ახლა ისინი ამ ადამიანების შემობრუნებას უნდა ცდილობდნენ.

პოლიტტექნოლოგიები ვახსენე ზემოთ და ამ კუთხით ბევრ ახალ რამეს მოვისმენთ. არ გაგიკვირდეთ, თუ ამ დღეებში ამ ორის გვერდით ნაციონალური მოძრაობის მესამე ფრთაც გამოჩნდეს.

***– ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მწარედ აპროტესტებენ ახალი ნაცმოძრაობის გამოჩენას. მათი ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ჩივის, რომ ამ განცხადებით ივანიშვილი ნაცმოძრაობის მომხრეების დაბნევას ცდილობს. ამაზე რას იტყვით?***

– ნიკა მელიასა და ნაციონალებს სხვაზე რა აქვთ სათქმელი. მთელი ძალებით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ პაატა ბურჭულაძე არის ივანიშვილის პროექტი. ივანიშვილი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ეს სააკაშვილის პროექტია. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო რიტორიკა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტტექნოლოგიას წარმატებით იყენებს ყოფილი ხელისუფლებაც.

„ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა დიდი ხანია ერთ სიმბიოზად ჩამოყალიბდა. თითქოს ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან, სინამდვილეში ერთმანეთს კვეთენ და ძალიან კარგად თანაცხოვრობენ. დიდი სურვილი აქვთ, რომ სამყაროში მხოლოდ ისინი დარჩნენ და სხვა არავინ არსებობდეს. მათი ეს განცხადებები სწორედ ამ ამოცანას ემსახურება და მეტს არაფერს.

***– შუაგაკრეფა ახსენეთ და მოახერხებენ ამ არჩევნებზე ამის გაკეთებას?***

– მე არა მგონია, რომ მოახერხონ. შუას გაკრეფას სხვა პოლიტიკური ტემპერატურა სჭირდება, მით უმეტეს, რომ ეს ტექნოლოგია, შევარდნაძიდან მოყოლებული, ბევრჯერ იქნა გამოყენებული და ამომრჩევლისთვის საინტერესო აღარ არის. სხვა საკითხია დანარჩენი პოლიტიკური ელიტა. ეს ფლანგი იმდენად სუსტია, რომ მოსახლეობას ღირსეულ არჩევანს ვერ სთავაზობს.

დღეს ძალიან საინტერესო სიტუაციაა შექმნილი – არჩევნებში ვინც მონაწილეობს, ყველა იმ პარტიის ჯამური რეიტინგი იმაზე ნაკლებია, ვიდრე გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა. შესაბამისად, მთელი პოლიტიკური ელიტა არ არის ლეგიტიმური, მით უმეტეს არაა ლეგიტიმური „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ისინი დიდი ხანია უმცირესობაში არიან და ერთადაც კი ვერ აყალიბებენ მთავრობას. ყველა კვლევა ამაზე მიუთითებს. ამავეს ამტკიცებს „იმედის“ ბოლო კვლევა. ამ ორი პარტიის საერთო მაჩვენებელი 50%-ზე ვერ ადის.

ამიტომაც ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი პრობლემა და კონკურენტი იმედგაცრუებული ხალხია და არა – ყოფილი ხელისუფლება.

***– თქვით, რომ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა პარტიის ამომრჩეველი, ერთად აღებული. რას იზამს ეს ხალხი არჩევნებზე?***

– მოდით, ჯერ ის ვთქვათ, ვინ არის ეს გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. ეს ის ხალხია, რომელმაც თავის დროზე ნაცმოძრაობას მისცა ხმა. მათგან იმედგაცრუებულებმა უკვე „ქართულ ოცნებას“ დაუჭირეს მხარი. ეს ხალხი „ოცნებისგანაც“ იმედგაცრუებული დარჩა. შესაბამისად, ისინი მესამე არჩევანს ეძებენ.

***– არის ეს მესამე არჩევანი?***

– ჯერჯერობით არ ჩანს. ერთადერთი ძალა, რომელიც თეორიულად, შესაძლოა, მესამე არჩევანად იქნეს განხილული, პაატა ბურჭულაძეა. ის მიუღებელია როგორც ძველი, ასევე მოქმედი ხელისუფლებისთვის. მათი გაღიზიანება ბურჭულაძის მიმართ ამით არის განპირობებული. ნაციონალებიც და „ოცნებაც“ მის გასასვრელად ყველაფერს აკეთებენ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა გადაუწყვეტელმა ამომრჩეველმა მას მისცეს ხმა?***

– თეორიულად მესამე ძალად ქცევის ყველაზე მეტი შანსი ბურჭულაძის ბლოკს აქვს. თუ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი მესამე ძალისკენ წავა, მაშინ რეიტინგების დღეს არსებული სურათი თავდაყირა დადგება. ამიტომაც არის, რომ ნაციონალები და „ოცნება“ პოლიტიკურ ველზე მესამეს არ უშვებენ და მზად არიან, ყველა ჩაძირონ, ვინც ამ მიმართულებით ამოყოფს თავს.

წინასაარჩევნო პროცესი ამ 2 პარტიის მხრიდან ნეგატიურ ჭრილში მიმდინარეობს. ისინი საზოგადოებას არანაირ პოზიტივს არ სთავაზობენ.

***– თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ივანიშვილის მთავარი კონკურენტი იმედგაცრუებული ხალხი იქნება. შეძლებს თუ არა ის დარჩენილ დროში ამ ხალხის შემობრუნებას და რა როლს ითამაშებს ამაში ის სატელევიზიო პროექტი, რომელიც მან წინა კვირას დაიწყო?***

– მისი სატელევიზიო გამოსვლები განსაკუთრებული ეფექტის მომტანი ვერ იქნება. ერთადერთი, რაც ამას მოჰყვება, ისაა, რომ „ოცნების“ რეიტინგის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს. ის სატელევიზიო პროექტი, რომელიც, ალბათ, მისმა მრჩევლებმა მოიფიქრეს, პირადად ივანიშვილისთვის წამგებიანი იქნება.

***– რატომ იქნება წამგებიანი?***

– მე თეორიაშიც კი არ გამიგია პრეცედენტი პერმანენტული პრესკონფერენციების ჩატარებისა. ის რასაც აკეთებს, არის წმინდა წყლის პრესკონფერენცია და ერთ თვეში ერთსა და იმავე თემაზე 10 პრესკონფერენცია ძალიან მძიმე საყურებელია. ეს უკვე ამ კვირაში იჩენს თავს. მესამე-მეოთხე გადაცემიდან მას წინა გადაცემებში ნათქვამის გამეორება დასჭირდება, რაც მას შეიძლება ძალიან ცუდად შეუტრიალდეს. ამიტომ მას ვურჩევდი, რაღაცნაირად მოახერხოს ამ ფორმატის ტრანსფორმირება. დავიჯერო, მის გვერდით არ არის ვინმე საქმეში ჩახედული, რომ ამაზე ესაუბროს?

***– პირველ გადაცემაზე რას იტყვით?***

– ვერც მას ჩავთვლი დიდ პოზიტივად. მომავალში, როგორც უკვე გითხარით, უარესი იქნება.

***– ამ კვირაში იწყება დიდი ხნის წინ დაპირებული ფილმის „ჰეროკრატიის“ ჩვენება. „ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ ის ამომრჩეველზე სერიოზულ გავლენას იქონიებს. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ეს ფილმი მე ნანახი არ მაქვს და, რაც არ გინახავს, იმაზე მსჯელობა ძნელია. იმედი იმისა, რომ ეს ფილმი ნაციონალებს ამომრჩეველს წაართმევს, ილუზიაა და მეტი არაფერი.

***– რატომ გგონიათ, რომ ნაციონალებს ვერ წაართმევს ამომრჩეველს?***

– ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის პროფილიდან გამომდინარე, ეს არის გამორიცხული.

***– ვერც გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე იქონიებს ფილმი გავლენას?***

– გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე რაღაც დოზით, ალბათ, იმუშავებს, თუმცა ფილმი არჩევნებში რაღაც სასწაულ და რადიკალურ როლს არ ითამაშებს. მხატვრული ფილმის სხვა მხარეებზე ვერ ვილაპარაკებ, თან ნანახი არ მაქვს და თან შეფასებაში სუბიექტური ვიქნები.

***– სუბიექტური რატომ იქნებით?***

– გოგა ხაინდრავა ჩემთვის უცხო ადამიანი არ არის. მე მას ვგულშემატკივრობ და მინდა, რომ მისი ნამუშევარი ძალიან წარმატებული იყოს. არჩევნების წინ ამ ფილმის გაშვება, შესაძლოა, ცუდი შედეგის მომტანიც იყოს. არჩევნების წინ მისი გაშვება ფილმის დაკნინებაა და ამაზე ვწუხვარ.

***– ნაციონალები რას დაუპირისპირებენ ამ ფილმს?***

– ყოფილი ხელისუფლება გადაფარვის პრინციპს მიმართავს. მათ ექნებათ გეგმა. ამ გადაფარვაში ბევრი რამე იგულისხმება და ამ კუთხით ძალიან ცხელი სექტემბერი გველოდება.

## „ერთად გავიაროთ ქუჩაში დაცვის გარეშე“





### ნათელაშვილი ივანიშვილს ტელედებატებაში იწვევს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს ტელედებატებში იწვევს.

ამის შესახებ ნათელაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

– ჩირგვებიდან გამოძვრა ჩვენი მომავლის მტერი – ბატონი ივანიშვილი. მან წინასწარ დააანონსა საკუთარი სამარცხვინო პარტიის გამარჯვება. მე კიდევ ერთხელ ვიწვევ ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ ტელედებატებში მისთვის სასურველ დროსა და ადგილას, ხოლო მანამდე ვთავაზობ, ერთად გავიაროთ ქუჩაში ყოველგვარი დაცვის გარეშე და მერე ნახავს, რა გამარჯვება ელოდება მას წინ, – განაცხადა ნათელაშვილმა.

გარდა ამისა, ლეიბორისტთა ლიდერი ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „მისი შედეგი პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის კალმით არის დაწერილი“.

◆ ◆ ◆

კვლევის მიხედვით, ხვალ რომ არჩევნები იყოს, გამოკითხულთა 32% „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას, ხოლო 16% – ნაციონალურ მოძრაობას.

ამავე გამოკითხვის მიხედვით თავისუფალ დემოკრატებსა და ლეიბორისტულ პარტიას მხარს გამოკითხულთა 4-4% უჭერს.

მედიანიუსი

## 26 პარტიას საარჩევნო ნომრები მიენიჭა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განისაზღვრა.

წილისყრის პროცედურის შედეგების მიხედვით, 26 საარჩევნო სუბიექტს შემდეგი რიგითი ნომრები მიენიჭა:

№2 – „პროგრესულ – დემოკრატიული მოძრაობა („თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!“)“;

№4 – „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“;

№6 – „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“;

№7 – „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“;

№9 – „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“;

№10 – „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;

№11 – „სახალხო ხელისუფლება“;

№12 – „საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინელები“ (ივანე წიკლაური)“;

№13 – „ევროპელი დემოკრატები“;

№14 – „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“;

№15 – „მშრომელთა სოციალისტური პარტია“;

№16 – „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“;

№17 – „საქართველო“;

№18 – „ქართული იდეა“;

№19 – საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“;

№20 – „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია“;

№21 – „საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია“;

№22 – „მერაბ კოსტავას საზოგადოება“;

№23 – საარჩევნო ბლოკი „ჩვენები – სახალხო პარტია“;

№24 – „გიორგი ლაღიძე – მომავალი საქართველო“;

№25 – „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“;

№26 – „ეროვნული ფორუმი“;

№27 – „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“;

№28 – „ზვიადის გზა – უფლის სახელით“;

№29 – „ეროვნულ – დემოკრატიული პარტია (ედპ)“

№30 – „ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი)“.

◆ ◆ ◆

გარდა აღნიშნული სუბიექტებისა, რიგითი ნომერი შეუნარჩუნდა 5 საარჩევნო სუბიექტს. ესენია:

1 – საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“;

3 – საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“;

5 – საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

8 – საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“;

41 – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვის უჭერს მხარს „ოცნება“ — ჩოჩელს თუ ხუნდაძეს?

შორენა მარსაგიშვილი

**სამეფო ქალაქ მცხეთაში დიდი პოლიტიკური ინტრიგები დაიხლართა. რომის იმპერატორის სეხნიის ცეზარ ჩოჩელის სადეპუტატო სურვილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. გავრცელებული ინფორმაციით, ის „ქართული ოცნების“ სათადარიგო კანდიდატია. ოფიციალურ კანდიდატად „ოცნებამ“ მოქმედი მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე დაასახელა.**

**ბოლო რამდენიმე კვირაა, ჩოჩელი და ხუნდაძე ერთმანეთის ბრალდებებს პასუხობენ, რამდენიმე დღის წინ კი სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ჩოჩელის დედამ საგანგებო წერილი გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ ხუნდაძის ხალხი მას და მის მეუღლეს უთვალთვალებს, ხუნდაძე კი ჩოჩელს თანამშრომლებზე ზეწოლას სდებს ბრალად.**





## დაპირისპირება მცხეთაში

მცხეთის საკრებულოს თანამშრომლების გუშინწინდელმა გადაწყვეტილებამ სიტუაცია სავსებით უმართავი გახადა.

საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქ მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოს რამდენიმე წევრი საპარლამენტო არჩევნებში მხარდაჭერას მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატ ცეზარ ჩოჩელს უცხადებს.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მათ განაცხადეს, რომ ისინი კვლავ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად რჩებიან, თუმცა დიმიტრი ხუნდაძეს ემიჯნებიან.

— მიზეზი, რამაც გადაგვაწყვეტინა გაერთიანება ცეზარ ჩოჩელის გარშემო, არის მხოლოდ მისი წარსულის საქმიანობა მცხეთის რაიონში და უპირატესი ხედვები მის მომავალზე. აქ მდგომნი ნდობას ვუცხადებთ დამოუკიდებელ კანდიდატ ცეზარ ჩოჩელს, როგორც სიტყვისა და საქმის ადამიანს.

გავრცელებული აზრი, თითქოს ჩვენ ვემიჯნებით „ქართულ ოცნებას“, სიმართლეს არ შეესაბამება. ვემიჯნებით არა „ქართულ ოცნებას“, არამედ კანდიდატ დიმიტრი ხუნდაძეს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მან დესტრუქციული როლი ითამაშა თვითმმართველობის საქმიანობაში. მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი ამომრჩეველი და ჩემი მეგობრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა რომელიმე პარტიას, მხარს ვუჭერთ „ქართულ ოცნებას“, — განაცხადა მცხეთის საკრებულოს წევრმა გურამ ანსიანმა.

საკრებულოების წევრების გადაწყვეტილებამ მცხეთის მოქმედი მაჟორიტარი აღაშფოთა. მან ჩოჩელის ბანაკში გადასულებს ავანტიურისტები უწოდა.

— ისინი არიან ჩოჩელთან. ეს არის ავანტიურისტული ჯგუფი, რომელიც ყოველთვის ხელს უშლიდა მცხეთის რაიონის განვითარებას. მათ კერძო ინტერესები ჰქონდათ. ის, ვინც განცხადება წაიკითხა, არის გურამ ანსიანი. ის იყო დემოკრატებიდან შემოსული და მერე 4 პარტია გამოიცვალა. იგი გარიცხულია „ქართული ოცნების“ პარტიიდან უკვე დიდი ხანია, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დიმიტრი ხუნდაძემ.

ხუნდაძის აღშფოთება ცეზარ ჩოჩელისთვის სრულიად გაუგებარია. მისი თქმით, საკრებულოს წევრები დეპუტატს რომ განუდგნენ, ეს თავად ხუნდაძის დამსახურებაა.

— მცხეთაში არაფერი კეთდება. ამ ქალაქისთვის ახლა გაცილებით მეტი დაფინანსებაა გამოყოფილი, ვიდრე ნაციონალების დროს იყო. აბა, ჩადით და ნახეთ, რა ხდება ქალაქში. ხუნდაძისა და მისი ნათესავების წყალობით მცხეთა დღეს დაპაუზებულია. საკრებულოს წევრების უკმაყოფილება ზუსტად აქედან მოდის. ჩოჩელის ხალხი რას ჰქვია? ყველა ადამიანს აქვს თავისი გადაწყვეტილება, თავისი უნარი, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ჩოჩელმა.

მისივე განცხადებით, საკრებულოების წევრების უკმაყოფილების მიზეზი ხუნდაძის ნათესავების ფაქტორიც არის.

— რატომ ეგონა, რომ ასე ჩაივლიდა ყველაფერი? არაფერს რომ არ აკეთებდა და საკრებულოს თავმჯდომარედ მამიდამისის ქმარი აარჩევინა, რა ეგონა? — კითხულობს დეპუტატობის კანდიდატი.

ის „ახალ თაობასთან“ საუბარში კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ზედაზენის“ თანამშრომლებზე ზეწოლას ახორციელებს. დეპუტატის მტკიცებით, ჩოჩელი თანამშრომლებისგან ითხოვს, რომ არჩევნებზე მას დაუჭირონ მხარი.

— ასეთი განცხადებების გაკეთება რაში სჭირდება? იმდენს კი უნდა ხვდებოდეს, რომ ამით საკუთარ ღირსებას ილახავს. „ზედაზენის“ თანამშრომლებზე ზეწოლა რაში მჭირდება? შეგიძლიათ, შეხვდეთ მათ და ჰკითხოთ, ჰქონია თუ არა მსგავს ფაქტებს ადგილი. თანამშრომლებზე ზეწოლა თუ მჭირდება, მაშინ კარგად ყოფილა ჩემი საქმე, — აღნიშნავს დეპუტატობის კანდიდატი.

ცეზარ ჩოჩელი კონკურენტს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებს.

— მის შეხვედრებს სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები ესწრებიან. ამ ხალხს ძალით დაარბენინებს წინ და უკან. დიმიტრი ხუნდაძე ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს, — აცხადებს ჩოჩელი.

ჩოჩელი დეტალურად არ ფლობს ინფორმაციას დედამისის მიერ გავრცელებული წერილის შესახებ.

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ საკითხზე დეტალურად არ ვარ ინფორმირებული. ხელისუფლების კანდიდატი ამას არ უნდა კადრულობდეს, მით უმეტეს დიმიტრი ხუნდაძე. მან უნდა გაიხსენოს, როგორ მოვექეცით მის ნათესავებს, როცა ის ოპოზიციის კანდიდატი იყო, — ამბობს მაჟორიტარობის კანდიდატი.

მისი თქმით, 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდში ხუნდაძის ნათესავები სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებული.

— ჩვენ მათთვის ხელი არ შეგვიშლია, რომ ნათესავისთვის დაეჭირათ მხარი, მეტიც, ვუთხარით, რომ შეეძლოთ, აეღოთ შვებულება და ჩართულიყვნენ კამპანიაში, — აცხადებს ჩოჩელი.

◆ ◆ ◆

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცეზარ ჩოჩელი ხელისუფლების სათადარიგო კანდიდატად ითვლება. არადა, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ჩოჩელს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მის წინააღმდეგ რამდენიმე საქმე აღძრეს და რამდენიმე დღით დააპატიმრეს კიდეც. ბოლო 2 წელია, რაც „ოცნებას“ იმპერატორის სეხნიაზე აუგი აღარ დასცდენია.

ხუნდაძის მსგავსად, ჩოჩელიც ერთხელ იყო პარლამენტის წევრის მანდატის მატარებელი. 2003 წელს მან შევარდნაძის ბლოკიდან იყარა კენჭი ახალგორში და გაიმარჯვა, ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ნაციონალებთან იოლად გამონახა საერთო ენა. 2008 წელს ის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად დანიშნეს. ეს თანამდებობა ჩოჩელს 2012 წლის ოქტომბრამდე ეკავა.

2012 წელს მის სამწყსოში შემავალ რეგიონში „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზული უპირატესობა მოიპოვა და ოთხივე რაიონში მის მაჟორიტარებს დარჩათ გამარჯვება. ერთ-ერთი მათგანი იყო დიმიტრი ხუნდაძე.

# სოსო ჯოხაძის მკვლელობაში ბრალდებულ ბადრი ნათობაძეს პატიმრობა შეეფარდა

## რა კავშირი აქვს 3 პირის დაკავებას ჯოხაძის მკვლელობასთან

გუშინ, 4 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სოსო ჯოხაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ ბადრი ნათობაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი განიხილა.

ბადრი ნათობაძე სასამართლო პროცესზე ხელბორკილით შემოიყვანეს, თუმცა მან მოსამართლეს მიმართა, რომ ამით მისი უფლებები ირღვეოდა. ამის შემდეგ მოსამართლემ სპეცდანიშნულების ჯგუფს ნათობაძისთვის ხელბორკილები შეახსნევინა.

სახელმწიფო ბრალდებამ ბადრი ნათობაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

— როგორ შეიძლება, მოვითმინო და მოვისმინო ის, რასაც პროკურორი ამბობს, მაშინ როდესაც დამაკავეს ქუჩაში მიმავალი, — განაცხადა ბადრი ნათობაძემ.

მისმა ადვოკატმა ლევან პატარქალიშვილმა დააყენა შუამდგომლობა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის 5 ათას ლარიანი გირაოს შეფარდების შესახებ.

მოსამართლე რევაზ ნადარაიამ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბადრი ნათობაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სხდომა 25 ოქტომბერს, 12:00 საათზე ჩაინიშნა.

ადვოკატ ლევან პატარქალიშვილის თქმით, მისი კლიენტი ბრალს არ აღიარებს.

მისი ინფორმაციით, დაკავებულს ფიზიკური დაზიანებები აქვს მიყენებული და ის ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულსამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ბადრი ნათობაძე განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, თბილისში, ვაკის რაიონში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა 1979 წელს დაბადებულ სოსო ჯოხაძეს და 1982 წელს დაბადებულ ზაქარია ჩიბუხაშვილს.

ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით).

◆ ◆ ◆

გუშინვე შს სამინისტრომ სამი პირის დაკავებაზე გაავრცელა ინფორმაცია.

როგორ უწყებაში აცხადებენ, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული არიან 26 წლის გიორგი ყანჩაველი, 27 წლის ნოდარ ნიშნიანიძე და 30 წლის გიორგი ფეიქრიშვილი.

რა კავშირი აქვთ დაკავებულებს სოსო ჯოხაძის მკვლელობასთან?

გიორგი ფეიქრიშვილის ოჯახის წევრები მის კავშირს სოსო ჯოხაძის მკვლელობასთან გამორიცხავენ.

ოჯახი აცხადებს, რომ მას იარაღი თავად სამართალდამცველებმა ჩაუდეს. ფეიქრიშვილის ოჯახი დაკავების მომენტს იხსენებს და აცხადებს, რომ ნიღბიანებმა კარი ჩამოაგდეს, ოჯახის დიასახლისს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

როგორც ფეიქრიშვილის დედა ამბობს, მას თავში კონდახი ჩაარტყეს.

იარაღის ჩადებას სდებენ ბრალად სამართალდამცავებს ნიშნიანიძის ოჯახის წევრებიც.

დაკავებამდე რამდენიმე წუთით ადრე ნოდარ ნიშნიანიძემ და მისმა



მეუღლემ საგანგებოდ ჩაწერილი ვიდეო გაავრცელეს. ნუკა ჩიკვაიძემ ფეისბუქის გვერდზე მისი სახლიდან ამოღებული იარაღის ფოტოს გამოაქვეყნა, რომელიც, მისი თქმით, ნოდარ ნიშნიანიძეს სამართალდამცავებმა ჩაუდეს.

— ეს დასკოჩილი იარაღი რატო, უკეთესი ვერ გაიმეტეთ!!!! დილიდან მანქანები დგანან!!! და როგორმე რომ რამე უკანონო ჰქონოდა სახლში !!!! არ მჯერავს რაც ჩემი თვალით ვნახე!!! ესეთი ჩადება არასდროს არავის უკადრებია, — წერს ნიშნიანიძის მეუღლე და ფეისბუქის გვერდზე იმ პოლიციელის ფოტოსაც აქვეყნებს, რომელმაც, მისივე თქმით, ნოდარ ნიშნიანიძეს იარაღი ჩაუდო .

— ამ კაცმა ჩაუდო ნოდარ ნიშნიანიძეს იარაღი ჩემ თვალწინ დივანზე დაუდო!!! — წერს ნუკა ჩიკვაიძე.

**ინტერპრესნიუსი, ნიუპოსტი**

# იოჰანეს ჰანი: „საქართველო და უკრაინა ვიზალიბერალიზაციას 2016 წელსვე მიიღებენ“



— საქართველო და უკრაინა ვიზალიბერალიზაციას 2016 წელსვე მიიღებენ, — განცხადება ამის შესახებ ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში გააკეთა.

ბრატისლავაში ევროკავშირის წევრები ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის პარალელურად იოჰანეს ჰანმა ინტერვიუ რადიო თავისუფლებას მისცა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას ევროპარლამენტშიც და ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორისაც ამ წელს მიიღებენ.

საკუთარ წყაროზე დაყრდნობით „რადიო თავისუფლება“ ასევე წერს, რომ ეს სავარაუდოდ ოქტომბერ-ნოემბერში მოხდება და საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზოდ გამგზავრებას უკვე ზამთრიდან შეძლებენ.

ბრატისლავაში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის კულისებში რადიო თავისუფლებასთან საუბარში ჰანმა განაცხადა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მკაფიოდ მიანიშნებენ, ხოლო ბევრ ქვეყანას აქვს მკაფიო მოლოდინი, რომ უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლის უფლება უნდა მიენიჭოთ.

უვიზო მიმოსვლისათვის მწვანე შუქის ანთებას ორივე ორგანოს, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს თანხმობა სჭირდება. ეს კი, როგორც წყაროებმა უთხრეს რადიო თავისუფლებას, უკრაინისა და საქართველოსთვის ოქტომბერში ან ნოემბერში მოხდება, რის შემდეგაც ორივე ქვეყნის მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას გვიან ზამთარში შეძლებენ.

— ადრეულ ზაფხულში საქართველოსათვის სავიზო ლიბერალიზების მინიჭებას ხელი შეუშალა გერმანიამ, რომელიც შეშფოთებული იყო მის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობის ზრდით. იოჰანეს ჰანი დარწმუნებულია, რომ მსგავსი პრობლემების არსებობის შემთხვევებში ყოველგვარი შეშფოთება შეიძლება მოიხსნას ევროკავშირის მიერ შემუშავებული „ვიზების შეჩერების მექანიზმით“, — ნათქვამია რადიო თავისუფლების ინფორმაციაში.

**მედიანიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „თეთრი შურით მშურს თქვენი, რადგან თქვენ ხართ პირველები ამ დიდი ცვლილებების პროცესში“

## პრემიერ-მინისტრი 150 ახალი საწარმოს წარმომადგენლებს შეხვდა

**სახელმწიფო პროგრამების დახმარებით უკვე შეიქმნა 150 ახალი და გაფართოვდა 700-ზე მეტი საწარმო; დარეგისტრირებულია 1.638 კოოპერატივი, ხოლო დაზღვეულმა მიწის ფართობმა 37,587 ჰა შეადგინა.**

**ერთ-ერთი კოოპერატივის, დარჩელის, ტერიტორიაზე მოწყობილი გამოფენა 2 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოინახულა.**



მან სახელმწიფოს დახმარებით შექმნილი სხვადასხვა საწარმოსა და კოოპერატივის წარმომადგენლების მიერ გამოფენილი პროდუქცია – თაფლი, თხილი, ჩურჩხელა, სათბურში მოყვანილი ბოსტნეული, ხილი, ღვინო და ა.შ. დაათვალიერა, დააგემოვნა და მეწარმეებს გაესაუბრა.

– დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასოდეს ყოფილა ამდენი სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტი საქმიანი, ინიციატივიანი ადამიანის დასახმარებლად, რომელსაც სურს, წამოიწყოს თუ გააფართოოს თავისი ბიზნესი, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, აქ წარმოდგენილი არიან დიდი და შედარებით მცირე საწარმოები.

– დიდი საწარმოების შემთხვევაში გვქონდა სპეციალური დახმარების პაკეტები, რომლებიც მორგებული იყო უფრო დიდ ინიციატივებზე. მცირე საწარმოების შემთხვევაში სახელმწიფომ შეიმუშავა სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებითაც ისინი წახალისდნენ, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.



მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რამხელა შესაძლებლობები არსებობს დღეს საქართველოში ინიციატივიანი, გამრჯე ადამიანისთვის, რომელსაც აქვს სურვილი, თვითონ გახდეს ბიზნესის მფლობელი, თვითონ უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრება, არ ეძებოს სამუშაო ადგილი სხვაგან, არ მიადგეს დასაქმების სათხოვნელად მთავრობას, არამედ, თვითონ იფიქროს იმაზე, რომ სხვები დაასაქმოს.

– ეს არის ის ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია, რევოლუცია, რომელიც მთელი ჩვენი ერის აზროვნებაშია მოსახდენი და ეს არის ყველაზე სასიხარულო, – განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ეს იყო უმთავრესი მიზანი, რომელსაც მთავრობა მრავალი სახელმწიფო პროგრამის წამოწყებისას ისახავდა.



კვირიკაშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ამ მხარდაჭერის პროგრამებს აუცილებლად განაგრძობს და პირადად ყველაფერს გააკეთებს, რომ უკვე შექმნილი კომპანიებისთვის ხელისუფლების თანადგომა კიდევ უფრო გაფართოვდეს, შემუშავდეს საინტერესო ინსტრუმენტები, რათა მათ მუშაობა და პროდუქციის რეალიზაცია გაუმარტივდეთ, მიიღონ მეტი შემოსავალი, განახორციელონ ექსპორტი და აითვისონ ახალი ბაზრები.

– ძირითადი მიზანი იმისა, რასაც ერთად ვაკეთებთ, არის ის, რომ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ შეიგრძნოს ეს შესაძლებლობები, რომლებიც დღეს არის. დღეს ჩვენ ვიმყოფებით დარჩელში და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ეს არის სწორედ ის ადგილი, სადაც 600 მცირე გლეხური მეურნეობისგან შეიქმნა კოოპერატივი, რომელიც გაცილებით უფრო ეფექტიანად აწარმოებს ნაწარმს, დანერგა ახალი ტექნოლოგიები, შეამცირა თითოეული მონაწილის დანახარჯები და ეფექტური გახადა წარმოება მთლიანობაში. ეს კოოპერატივი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ დღეს ჩვენ საქართველოს გაძლიერებას სწორედ ამგვარი მოდელის მეშვეობით ვხედავთ, – განაცხადა პრემიერმა.

◆ ◆ ◆

სოფლის მეურნეობა სტრატეგიული დარგია. დღეს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში და იმისთვის, რომ დარგი გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, აწარმოოს იმ ხარისხის პროდუქცია, რომელიც მოთხოვნადი იქნება საქართველოს ფარგლებს გარეთაც, საჭიროა გადაიარაღება და ახალი ტექნოლოგიები.




სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი პრემიერმა

– საგარეო ბაზარი გვჭირდება იმიტომ, რომ 3,7 მილიონი მოსახლეობის ბაზარზე გათვლილი წარმოება რთულია, იყოს კონკურენტი იმ წარმოებების, რომლებიც გათვლილია 50 ან 100-მილიონიანი მომხმარებლის ბაზარზე. ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეული წარმოება, რომელიც საქართველოში შეიქმნება, გათვლილი იყოს ექსპორტზე, რათა უფრო კონკურენტუნარიანი და წარმატებული იყოს, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად, მნიშვნელოვანია გადაიარაღება, რომლის ორი აპრობირებული გზა არსებობს – მსხვილი ინვესტორების შემოყვანა, ამ გზით სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გაერთიანება და მასშტაბური, ეფექტიანი საწარმოს შექმნა, რომელიც ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მეორეა – კოოპერაცია.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, კოოპერაცია, დარჩელის შემთხვევაში, ნიშნავს 600 მცირე მეწარმისა და მფლობელის გაერთიანებას ერთიან საწარმოში. კოოპერატივის არცერთი მონაწილე არ კარგავს საკუთრებას მიწასა და ქონებაზე, მაგრამ კოოპერაციისა და სპეციალური სახელმწიფო დახმარების მეშვეობით ისინი ახდენენ გადაიარაღებას, რის მეშვეობითაც აღწევენ საერთაშორისო სტანდარტს და ხდებიან კონკურენტუნარიანი, ანუ, როგორც ეკონომისტები ამბობენ, ისინი აღწევენ მასშტაბის ეკონომიას.

– სწორედ ამის მაგალითია დარჩელის კოოპერატივი და გვიხარია, რომ უკვე 1.638 კოოპერატივია დარეგისტრირებული, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მინისტრ ოთარ დანელიას, მისი გუნდის ყველა წევრს, რომლებმაც, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ პროექტის განხორციელებაში.

მთავრობის პირველი პირი მიიჩნევს, რომ ეს გზა უნდა გაგრძელდეს და სახელმწიფომ ამგვარი კოოპერაციის წახალისება განაგრძოს.

გიორგი კვირიკაშვილმა შვეიცარიელი ინვესტორის დახმარებით შექმნილი „ბლაუენშტაინ საქართველოს“ წარმატებულ მაგალითზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები მაღალმთიანი რეგიონებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

– ბედნიერი ვარ, რომ ვხედავთ ამდენ ადამიანს, რომელიც ახალი საწარმოს მფლობელია და ამ მფლობელობას არაფერი ემუქრება. ისინი გაცილებით ეფექტურ წარმოებაში არიან ჩართულნი, იყენებენ უახლეს ტექნოლოგიებს. ვნახეთ პროდუქცია, რომელიც უმაღლესი გემოვნური თვისებებისაა, ეკოლოგიურად სუფთა და აბსოლუტურად კონკურენტუნარიანი ყველანაირ ბაზარზე, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მან თქვა, ევროპული სტანდარტების დანერგვას ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით, ისე, რომ არცერთი ადგილობრივი ფერმერის ინტერესი არ დავაზიანოთ, მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ამ გადასვლის თანდათანობითი ხასიათი და დაგეხმაროთ ყველა ამ პროცესშიო.

– ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების პროცესში ვიმყოფებით. 150 ახალი საწარმოს გარდა, სახელმწიფოს დახმარებით, 700-ზე მეტი საწარმო გაფართოვდა, განავითარა წარმოება. ეს არის ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების პროცესი და ეს მიმდინარეობს ისე, რომ ჩვენ არ გვაქვს ძალდატანებითი გამსხვილება, გვაქვს წახალისების მექანიზმებით, ნებაყოფლობითი კოოპერაცია, რომელიც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს ეტაპი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქართულ პროდუქციას დღეს გახსნილი აქვს ევროპული ბაზარი, ბევრი მეზობელი ქვეყნის ბაზარი და მთავრობა ჩინეთის ბაზრის გახსნის მიმართულებითაც მუშაობს.

– ეს არის პერსპექტიული ბაზარი და სასიხარულოა, რომ დღეს ორ მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო ჩინეთის ბაზარზე იყიდება. ეს არის დიდი დივერსიფიკაციის, ანუ რისკების გადანაწილების პროცესი, რომელიც საქართველოს სავაჭრო პოტენციალს ერთიორად, ერთისამად გაზრდის და დაგვირგვინდება იმით, რომ მეტი მოთხოვნა იქნება ჩვენს ადგილობრივ პროდუქციაზე, ბევრი ადამიანის ოჯახში მივა კეთილდღეობა და ბევრი ადამიანის ოჯახი გაიხარებს ამ შესაძლებლობებით, რომელიც შექმნილია, თქვენთან ერთად, მთავრობის ინიციატივით, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მან შეხვედრის მონაწილეებს მომავლის ოპტიმისტური სურათი დაუხატა:

– თქვენი იქნებით პიონერები ამ დიდი ცვლილებისა საქართველოში. თქვენ იქნებით მასწავლებლები ყველა დანარჩენისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანი ადამიანები ხართ და დიდი სიხარულით მინდა ვთქვა, რომ თეთრი შურით მშურს თქვენი, რადგან თქვენ ხართ პირველები ამ დიდი ცვლილებების პროცესში.

პრემიერის თქმით, მთავრობა აუცილებლად გააგრძელებს ამ დიდ პროცესს.

– ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენს მრავალრიცხოვან არმიას დაემატონ ახალი ინიციატივიანი, გამრჯე ადამიანები, რომლებიც საკუთარი ხელით შექმნიან საკუთარ ცხოვრებას. გამოიჩინეთ მეტი ინიციატივა, მოგვმართეთ და სახელმწიფო აუცილებლად მხარში დაგიდგებათ, იმიტომ, რომ ძლიერი სოფელი არის ძლიერი საქართველო. ძლიერი კოოპერატივი არის კეთილდღეობა ყველა თქვენგანის ოჯახში, – დასძინა კვირიკაშვილმა.

პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ადგილობრივი მეურნეობების წახალისება, ქართული საწარმოო პოტენციალის შექმნა და საერთაშორისო მასშტაბის კონკურენტუნარიანობა მთავრობის პრიორიტეტად დარჩება, რათა სრულად წარმოჩნდეს ქვეყნის პოტენციალი და ამით გაბედნიერდეს თითოეული ოჯახი.

## ყველაზე დიდი კეთილგანწყობით კვირიკაშვილი სარგებლობს

ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, დადებითი ბალანსი მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს აქვს, რომელიც უფრო მეტ ადამიანს მოსწონს (38%), ვიდრე არ მოსწონს (23%).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი, დავით ბაქრაძე გამოკითხულთა 30%-ს, ხოლო 38%-ს არ მოსწონს. მესამე ადგილზეა პაატა ბურჭულაძე, რომელიც გამოკითხულთა 23%-ის სიმპათიით სარგებლობს, 37% კი მის მიმართ კეთილგანწყობილი არ არის.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი გამოკითხულთა 23%-ის მოწონებას იმსახურებს, ხოლო 39%-ს ის არ მოსწონს.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას მიმართ კეთილგანწყობილ ამომრჩეველთა რაოდენობა 20%-ია, ხოლო 38% არაკეთილგანწყობილია.

ყველაზე მაღალი უარყოფითი განწყობა ირმა ინაშვილს (43%) და ნინო ბურჯანაძეს (58%) აქვთ. ირმა ინაშვილი ამომრჩევლის 15%-ის, ხოლო ნინო ბურჯანაძე ამომრჩევლის 13%-ის სიმპათიით სარგებლობს.

მედიანიუსი

# სოსო შატბერაშვილი: „ნათელაშვილი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია“

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დუღილის ტემპერატურა უფრო მაღლა იწევს. ვერ გეტყვით, რეალურად რამდენ პარტიას აქვს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შანსი, მაგრამ წინასაარჩევნოდ ყველა იმედიანადაა. მიმდინარე პროცესებსა და საკუთარი პარტიის შანსებზე „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი გვესაუბრება.**

***– როგორ ბრძანდებით, ბატონო სოსო, წინასაარჩევნოდ როგორი განწყობა გაქვთ?***

– კარგად ვარ და განწყობაც საბრძოლოა. ერთი ეგაა, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ამ საარჩევნო მარათონში ფული არ გვაქვს და კონკურენტები ათი კილომეტრით არიან წინ.

***– მაგაზე დიდად ნუ ინერვიულებთ, მარათონის სიგრძე 42 კილომეტრზე მეტია და გასწრების შანსი გექნებათ...***

– (იცინის) არც ვნერვიულობთ, უბრალოდ, ვამბობთ იმას, რომ სხვადასხვა პარტიას ზურგს მილიონები უმაგრებს და ამიტომ არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ნაირ-ნაირ რეკლამებს ამზადებენ, ატრიალებენ. ჩვენ კი ამის შესაძლებლობა ნაკლებად გვაქვს.

***– ვის გულისხმობთ მილიონერ პარტიებში?***

– პირველ რიგში, ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც ანგარიშებზე მილიონები კი არა, მილიარდები აქვს. რაც ხალხს ფული წაღლიტეს, მთლიანად იმისთვის იყენებენ, რომ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და უფრო მეტი წაღლიტონ. ბურჭულაძის პარტია, გირჩი, ვაშაძე და მისი პარტია – ისინი ნაციონალური მოძრაობის განშტოებები არიან, მაგრამ იმდენი აქვთ ნაძარცვი, ფული ყველას ჰყოფნის. პარალელურად, ფულთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილ პარტიებს ზურგს ის ბინძური წარსული უმარგებთ, რომელიც აქვთ და, იმის მიუხედავად, რომ მილიონებს დახარჯავენ, წარმატების დიდი შანსი არ ექნებათ.

***– სხვა პარტიების წარსული ახსენეთ და თქვენი წარსულიც გავიხსენოთ. უფრო სწორად, თქვენ გაიხსენეთ ლეიბორისტული პარტია და მიზეზი, რის გამოც წამოხვედით.***

– არცერთი ჩემი თანაგუნდელი და არც მე არასდროს ვმალავთ და არ ვნანობთ, რომ ლეიბორისტულ პარტიაში ვიყავით. მარტო ის რად ღირს, რომ 2003 წელს მოვახერხეთ და თბილისის საკრებულოში შევიტანეთ და გავიტანეთ ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, სასწრაფო დახმარება გახდა უფასო. შემდეგ ეს იდეა ისე მოეწონა სააკაშვილს, რომ აიტაცა და მთელი საქართველოს მასშტაბით უფასო გახადა, თუმცა ინიციატივა და იდეა ჩვენი იყო. ჩვენ მართლა შიშველი ხელებით ვებრძოდით ნაციონალებს, მაგრამ შემდეგ, როცა პარტიის ლიდერმა ჩვენ ზურგს უკან გარკვეული მოქმედებები დაიწყო, გავემიჯნეთ.

***– უფრო კონკრეტულად?***

– რბილად რომ ვთქვათ, ფულის შოვნაზე გადავიდა და გაყიდა ყველა და ყველაფერი. მას, ნაციონალების დარად, მილიონები აქვს ანგარიშზე. ბოლოს შალვა პარტიის ფულის ჭამაზე გადავიდა. ამაში ვამხილეთ და პარტია დავტოვეთ. ნათელაშვილი რომ ამბობს, არჩევნებიდან არჩევნებამდე ხმელი პურითა და ყველით გავდივარო, იტყუება. პარტიის წევრებს მართლა ყველი და პური აქვთ სახრავად და შალვა ხიზილალას არ იკლებს. ცხვრის ტყავში გახვეული მგელია ნათელაშვილი და იმიტომაც კიკინებს უცოდველი კრავივით.



## „ნაციონალებს სისხლს გავუშრობთ“

***– სერიოზული ბრალდებებია, ბატონო სოსო.***

– მეტსაც გეტყვით. 1989 წლის 9 აპრილს, როცა საბჭოთა ნომენკლატურამ ვერ ნახა ვერცერთი ქართველი, ვინც მაშინ ქართველებზე აუგს იტყოდა, იპოვეს ნათელაშვილი, რომელმაც, ჩვენი ინფორმაციით, პროგრამა „ვრემიაში“ გააკეთა განცხადება, რომ 9 აპრილს თბილისში შეკრებილი იყო ბრბო, რომელიც შემდეგ დაიშალა და ერთმანეთის ჭყლეტაში დაიღუპა რამდენიმე ადამიანი. ამის შემდეგ შალვა მოსკოვში, დიპლომატიის აკადემიაში წაიყვანეს, რათა იქ დაემთავრებინა სასწავლებელი და უშიშროების მიერ ხელდასხმული წარმატებული დიპლომატი გამხდარიყო დიად საბჭოეთში, თუმცა არ დასცალდათ. ან როგორ დასცალდებოდათ, როცა შალვა ქართულადაც ძლივს ლაპარაკობს, უცხო ენები საერთოდ არ იცის, მიშასგან განსხვავებით, რომელიც ასევე უშიშროებამ კიევში წაიყვანა, მაგრამ რუსული უშიშროების მიმართ შალვას მეტი დამსახურება ჰქონდა და მას უკრაინა არ აკადრეს, პირდაპირ მოსკოვში წააბრძანეს.

***– თქვენ რა სახსრებით აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

– მცირე შემოწირულებებით, რაც გვაქვს, შიშველი ხელებითა და იმ ენთუზიაზმით, რომელიც პარტიაშია.

***– და, როგორ ფიქრობთ, საარჩევნო ბარიერს გადალახავთ?***

– ჩვენ ახალი შექმნილი პარტია ვართ და, ვფიქრობ, საარჩევნო ბარიერს დავძლევთ. პარლამენტში 6-7 კაცს შევიყვანთ და ნაციონალურ მოძრაობას სისხლს გავუშრობთ. იმიტომ არის აუცილებელი „მემარცხენე ალიანსის“ მოხვედრა პარლამენტში, რომ ნაციონალებს ხმა არ ამოვაღებინოთ და პოლიტიკური ოპონირება გავუწიოთ. ჩვენ წარმატების გვჯერა.

# ფიქრია ჩიხრაძე: „მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება“

– მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული, მრავალფეროვანი იქნება პრეზიდენტის სახელით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ პარტიებს, რომ იაქტიურონ, უფრო აქტიურად მივიდნენ ამომრჩეველთან, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა.

როგორც ჩიხრაძემ აღნიშნა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი გამოწვევა იყო ამომრჩევლის ნიჰილისტური განწყობა და ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის ძალიან დიდი რაოდენობა.

**ფიქრია ჩიხრაძე:**

– სწორედ ამან განაპირობა საპრეზიდენტო კამპანიის წარმოება ამომრჩევლის გააქტიურების კუთხით. ახალგაზრდები საზაფხულო სკოლების ფარგლებში ძალიან აქტიურად ჩაერთნენ ამ კამპანიაში. ყველა რეგიონში შეხვდნენ ამომრჩეველს. ჩვენ პრაქტიკულად მთელი საქართველო მოვიარეთ უკვე. ამომრჩეველს აღარ უნდა შავ-თეთრი არჩევანი, რომ ამომრჩეველი განწყობილია მრავალფეროვანი არჩევანისთვის, ამომრჩეველს მოსწყინდა რადიკალურ დაპირისპირებაში ჩაკეტილი, შეზღუდული არჩევანი.

**ინტერპრესნიუსი**



# ირმა ინაშვილი: „ბარიერს თუ ვერ გადავლახავთ, მასშტაბურ აქციებს დავიწყებთ“

პატრიოტთა ალიანსის ლიდერ ირმა ინაშვილის განცხადებით, მის პარტიას ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს, მაგრამ, თუ ის პარლამენტში ვერ შევა, ეს ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდა.

– ყველამ კარგად იცის, ვინც დღეს პოლიტიკით არის დაინტერესებული, პატრიოტთა ალიანსი მოსწონთ, არ მოსწონთ, სძულთ თუ უყვართ, არ აქვს ბარიერის გადალახვის პრობლემა. ჩვენ რამდენჯერმე გვაქვს ეს ბარიერი გადალახული დამოუკიდებელი კვლევებით, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მისი აზრით, თუ ალიანსი ბარრიერს ვერ გადალახავს, ეს



ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ დავიწყებთ მასშტაბურ საპროტესტო აქციებს. არავის ეგონოს, რომ ის შერჩებათ, რაც შერჩათ საგარეჯოში. როდესაც ირმა ინაშვილი გავა, მთელი საქართველო დაიძვრება რუსთაველის ძეგლისკენ, თუმცა ვნახოთ, როგორ წავა პროცესი და ვნახოთ, ვინ ვის მოერევა, სიმართლე მოერევა ტყუილს თუ პირიქით, – განაცხადა ირმა ინაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში.

**მედიანიუსი**

# სომხეთი საქართველოს მთლიანობას ისევ მხარს უჭერს

საქართველოში სომხეთის საელჩომ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლების სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე განცხადება გააკეთა.

როგორც საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული, სომხეთი ყოველთვის ითვალისწინებდა საქართველოს პოზიციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და ამ პოლიტიკას უცვლელად განაგრძობს.

– სტეფანაკერტში სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ბატონ კან ტანიას შორის შესაძლო შეხვედრის შესახებ, მითუმეტეს, საუბრისა და მოლაპარაკებების შესახებ მედიით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში, რომელიც საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაცია არაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში საზეიმო ღონისძიებას სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანთან ერთად დაესწრო.

შესაბამისი ინფორმაცია და ფოტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანიამ გაავრცელა.

**მედიანიუსი**

# საქართველოს საზღვრებთან ტერორისტებზე ნადირობენ

**მარიამ მჭედლიშვილი**

ისლამური სახელმწიფოს აგრესიისაგან საქართველო ადრეც არ იყო დაზღვეული. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საუბარი იყო იმაზე, რომ ხალიფატის ტერორისტები საქართველოს ტერიტორიას სატრანზიტოდ გამოიყენებდნენ. ბოლო დროს რეგიონში მომხდარმა ცვლილებებმა საქართველო ახალი რისკების წინაშე დააყენა.

ქართველი ანალიტიკოსების აზრით, საქართველოს გეოპოლიტიკური ხაფანგი ემუქრება. რუსეთის მხრიდან ღია აგრესიის გარდა, აშკარაა ხალიფატისგან მომავალი რისკები, მით უმეტეს, რომ ისლამურ სახელმწიფოს, იმავე დაიშს, კავკასია საკუთარი გავლენის სფეროდ მიაჩნია. კავკასიელი ჯიჰადისტების დიდი ნაწილი, რომელიც მანამდე იმარატ კავკასიის სახელით ახდენდა ტერაქტებსა და დივერსიებს, ახლა ხალიფატს ემორჩილება.

ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმს სპეცოპერაციებით ებრძვიან. ამჟამად კონტრტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობს დაღესტნის მაგარამკენტის რაიონში. ტარდება ზომები რადიკალი ისლამისტი მებრძოლებისა და მათი ხელშემწყობების დასაკავებლად.

ამ რაიონში სპეცოპერაცია მეოთხედ მიმდინარეობს. წინა სპეცრეჟიმის დამთავრებიდან სულ 20 დღეა გასული.

ზოგიერთი ოპერაცია ისე მთავრდება, რომ ძალოვნები მის შედეგებს არ ამზეურებენ.

სპეცოპერაციებს ხშირად ახლავს მსხვერპლი. ამასთან, მსხვერპლი, ზოგ შემთხვევაში, უდანაშაულოთა შორისაა. მაგალითად, დაღესტნის შამილის რაიონში აგვისტოში დახოცეს ძმები ჰასანჰუსეინოვები. მათი ახლობლები ამ საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვენ. მათი თქმით, სპეცოპერაციისას მოკლული ძმები მწყემსები იყვნენ და მათ არავითარი საერთო არ ჰქონიათ მებრძოლებთან, ვაჰაბიტებთან და ტერორისტებთან.

ასევე პროტესტს იწვევს რაშიდოვისა და რამაზანოვის სიკვდილი. სამართალდამცავთა ვერსიით, მათ მანქანაში აიფეთქეს თავი. ახლობლებმა ბევრი ნიშანი აღმოაჩინეს, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ძალოვნებმა ძალადობრივად დახოცეს და მათ თავი არ აუფეთქებიათ.

ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რესპუბლიკაში ტერორიზმის პირდაპირ საფრთხეს ხედავენ სალაფიტურ მეჩეთებში და ისლამის ამ განშტოების იმამებსა და მორწმუნეებში. სალაფიტური მეჩეთები აღიქმება ტერორისტების მომზადების ცენტრებად. ერთი წლის განმავლობაში მოკლულია 2 იმამი, 3 შეიცვალა. ხშირია ამ მეჩეთებთან ადამიანების მასობრივად დაკავება. ბევრი მეჩეთი დაიხურა.

აგვისტოში მახაჩყალის სალაფიტურ მეჩეთთან 70 კაცი დააკავეს. მათ შორის 1 არასრულწლოვანია. მორწმუნეების ცნობით, იმამი მაგომედ მაგომედოვი მას შემდეგ დააკავეს, რაც პოლიციამ მას იარაღი ჩაუდო. მისი მეჩეთიდან პოლიციამ კომპიუტერებიც ამოიღო.



## რატომ ხურავენ მეჩეთებს ჩრდილოეთ კავკასიაში

სალაფიტებს დიდი ხნის წინ გამოუცხადა ბრძოლა ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა. ამ დღეებში ჩეჩნეთში გაიმართა რელიგიური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე სალაფიტები საშიშ სექტად გამოაცხადეს. კადიროვი ადრეც აცხადებდა, რომ სუფიების ტარიკატის მიმდინარეობას უჭერდა მხარს. ამ კონფერენციის გამო ღვთისმეტყველებმა ჩეჩენი სუფიები მუსლიმანებს შორის განხეთქილების გაღვივებაში დაადანაშაულეს.

უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეების, მორწმუნეების დევნას ხშირად აპროტესტებენ ჩრდილოკავკასიელი უფლებადამცველები, რომლებიც თავად ხდებიან თავდასხმის ობიექტი.

ორი დღის წინ თავდასხმა მოხდა უფლებადამცველების ოფისზე ინგუშეთში. თავდამსხმელები ნიღბებით იყვნენ. მათ სათვალთვალო კამერები გატეხეს. თავდამსხმელები ჩეჩნეთის ნომრებიანი მანქანებით გადაადგილდებოდნენ.

რამზან კადიროვი უფლებადამცველების წინააღმდეგ ღიად გამოდის ხოლმე. რამდენიმე წლის წინ მან ორგანიზაცია „მემორიალი“ ხალხისა და სახელმწიფოს მტრებად გამოაცხადა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „არცერთი პარტია არ ამბობს, რის ხარჯზე გაზრდის პენსიებს“

## ემზარ ჯგერენაია: „პროგრამები მოდაში არ არის“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ემზარ ჯგერენაია აფასებს.

***– ბატონო ემზარ, რამდენად სტაბილურია დღეს ეკონომიკური მდგომარეობა?***

– ეკონომიკური მდგომარეობა სახარბიელო – არა, მაგრამ ნორმალური ნამდვილად არის. ეკონომიკური ზრდაც გადაიხედა და, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგნოზებით, გახდა +3%. სავალუტო კურსიც დასტაბილურდა, რომელიც 2,28-ის დონეზეა. ასევე გამოსწორდა ტრანსფერები. სამწუხაროდ, ექსპორტი ვერ გამოსწორდა და ეს დღესაც პრობლემატურია.

***– თქვენ საუბრობთ კურსის სტაბილურობაზე, თუმცა ლარი საგრძნობლად გაუფასურებულია.***

– კურსის გაუფასურებას მნიშვნელობა არა აქვს. აქ საუბარია იმაზე, რომ კურსი დასტაბილურდა და მისი სწრაფი ვარდნა არ მოხდა. არც სწრაფი გამყარებაა კარგი და არც – სწრაფი ვარდნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***– გაზაფხულზე საგრძნობლად სწრაფად გამყარდა ლარი, თუმცა მალევე გაუფასურდა. ეს არასწორი იყო?***

– დიახ, მოხდა სწრაფი გამყარება და ეს სერიოზული შეცდომა იყო. ამას მალევე მოჰყვა უკუშედეგი და ასევე სწრაფად გაუფასურდა ლარი. ეს ეროვნული ბანკის შეცდომა იყო. მას ინტერვენცია უნდა განეხორციელებინა და არ მიეცა იმის საშუალება, რომ ასეთი რაღაც მომხდარიყო.

***– ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტს უკვე ხშირად აკრიტიკებენ, არ დგამს სწორ ნაბიჯებსო. რას ფიქრობთ თქვენ?***

– ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭია, მაგრამ ის ნაბიჯები, რომლებიც ბოლო ხანს გადადგა, ცოტა ნაჩქარევი მეჩვენება, ისევე, როგორც პროცენტის აწევა. როცა სააღრიცხვო პროცენტს ასწევ და მერე ერთ თვეში ისევ უკან დასწევ, ეს ცუდი ნაბიჯია. შეიძლება, ცუდი შედარებაა, მაგრამ შეერთებული შტატები თითქმის ერთი წელია ფიქრობს, 0,25%-ით ასწიოს თუ არა. ეს იმდენად რთული საკითხია, მაშინ როცა შეერთებული შტატების ზემოქმედება ბაზარზე უფრო მყისეულია. ამიტომ უფრო მეტი სიდინჯე მართებდა. ასევე მეტი წინდახედულობა იყო საჭირო, რომ არ მომხდარიყო კურსის სწრაფი გამყარება. კურსი რომ სწრაფად გამყარდა, ამან ცუდი მოლოდინი წარმოშვა. ჩვენ ვნახეთ, რომ ძალიან მალე დაიწყო კურსის გაუფასურება. ეს ძალიან საშიში პროცესია.

***– ეს გამოუცდელობით მოუვიდა?***

– ვერ გეტყვით, რითი მოუვიდა. შეიძლება, გამოუცდელობითაც, ან ბოლომდე არ გაითვალისწინა გარე მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

***– წინ არჩევნებია და ბევრი არჩევნების შემდგომ პერიოდსაც უკავშირებს ეკონომიკურ არასტაბილურობას. ბიუჯეტიდან სერიოზული თანხები იხარჯებაო. როგორ ფიქრობთ, რა იქნება არჩევნების შემდეგ? რამდენად შენარჩუნდება ის სტაბილურობა, რომელზეც დღეს თქვენ საუბრობთ?***

– ჩვენი საარჩევნო კანონის თანახმად, ბოლო თვე-ნახევარი არ შეიძლება ბევრი ფულის დახარჯვა და ეს მნიშვნელოვანია. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია. თქვენ რომ ნახოთ ხაზინის მონაცემები, არცერთი გადახრა ამ წუთში არ არის. არ შეინიშნება ის ტენდენცია, რომ ვინმე გადაჭარბებულად ხარჯავდეს ბიუჯეტს, პირიქით, გადმოუციათ ისეთი მონაცემებიც, სადაც დეპოზიტებიც კი არის. დღეს ჩვენთვის მთავარია ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება.

***– რას ფიქრობთ პოლიტიკური პარტიების დაპირებებზე, სადაც ყველა პენსიისა და ხელფასების მატებაზე აკეთებს აქცენტს? იძლევა დღეს ჩვენი ბიუჯეტი ამის საშუალებას, საიდან უნდა მოვიდეს ამხელა თანხები?***

– მოდით, ეს დაპირებები ორ ნაწილად დავყოთ. ერთი არის ინსტიტუციონალური ნაწილი, ხოლო მეორე – ფისკალური, ფულადი ნაწილი. კერძო ნაწილში შეიძლება ადამიანმა ილაპარაკო, რომ რაღაცას გავაუქმებ და ამაზე იყოს მსჯელობა. ინსტიტუციონალური თვალსაზრისით ყველაფერზე მსჯელობა შეიძლება, მაგრამ, რაც შეეხება ფულად და ფისკალურ ნაწილს, იქ აუცილებლად საჭიროა კონკრეტიკა. უნდა გაეცეს პასუხი კითხვას – საიდან?

***– ამ კითხვაზე პასუხი არ არის?***

– ჩვენ რომ ვუსმენთ ლოზუნგებს, პროგრამებს, ყველგან საუბრობენ ერთსა და იმავეზე, ამდენი ხელფასი, ამდენი პენსია. ჩვენ ჯერ იმაზე უნდა ვისაუბროთ, ბიუჯეტში რა ფულს შევიტანთ და მერე როგორ დავხარჯოთ.

***– საიდან უნდა მოიტანონ, ამაზე არავინ საუბრობს?***

– საიდან მოიტანენ, ამაზე თითქმის არავინ საუბრობს. ჩინოვნიკებს მოვუკლებთ ხელფასებს და ამის ხარჯზე პენსიას გავზრდითო. ამის უკან დგას სერიოზული ციფრები და, მერწმუნეთ, ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელია. ეს ყველაფერი ზედაპირულია. სრულყოფილი პროგრამის გაკეთებას ყველა გაურბის. არის ვარიანტი, რომ ჩვენ მთლიანობაში ისე ჩავატაროთ არჩევნები, საბოლოო ჯამში, პროგრამა ვერ მივიღოთ, სლოგანების გარდა. მემარცხენეობის ელფერი დაჰკრავს ამ ყველაფერს. ამდენი ხელფასი, ამდენი პენსია, ამდენი კარგად ცხოვრება, ამდენი უფასო.

***– და საიდან ეს უფასო? ამაზე რატომ არავინ საუბრობს?***

– იმიტომ, რომ ეს ამომრჩეველსაც არ აინტერესებს. 25-30 წელია, ჩვენს ამომრჩეველს მხოლოდ უფასო დაპირებები ესმის. როგორც ჩანს, იმდენად დიდია ცდუნება, იმდენად დიდია ელექტორატიდან მოთხოვნა, რომ მაინც ტყუილისა და ზღაპრების მოსმენა ურჩევნიათ რეალურ პროგრამასა თუ დაპირებას. თითქმის წარმოუდგენელია, ადამიანს უთხრა, ამ არჩევნებზე ხმა მომეცი და 15-20 წლის მერე ნახავ, როგორ კარგად იცხოვრებო. ეს არავის უნდა. სწორედ ამიტომ შემორჩა ეს ძველი ლოზუნგები. ამომრჩევლისგან არის ამის მოთხოვნა.

***– ამომრჩეველს მოსწონს ზღაპრები?***

– როგორც ჩანს, მოსწონს, ამდენი ხელფასი, ამდენი პენსია და ეს უაზრო ციფრების რახარუხი. იმდენჯერ აქვთ გაგონილი, იმდენჯერ არიან მოტყუებულნი, ამის მიუხედავად, თანახმანი არიან, კიდევ ერთხელ მოისმინონ. პოლიტიკოსებიც ფიქრობენ, რისთვის იმტვრიონ თავი, რისთვის წერონ ახალი პროგრამები, როცა ამომრჩეველს ძველიც მოსწონს.

პროგრამების არქონისთვის პროტესტი არავის გამოუცხადებია. პროგრამები არ არის მოდური და ამას თავს არიდებენ. იმედია, ეს სიტუაცია არჩევნებამდე გამოსწორდება და უფრო მეტ კონკრეტიკას დადებენ პარტიები. სამწუხაროა, რომ ეს მოთხოვნები მოსახლეობაში არ არის.

# ბურჭულაძემ თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

შორენა მარსაგიშვილი







**არჩევნებამდე ერთი თვითა და 3 დღით ადრე პაატა ბურჭულაძემ თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. წარდგენილთა შორის არიან როგორც ძველი, ასევე ახალი სახეები.**

**ბურჭულაძე იმედოვნებს, რომ მის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს თბილისის გადარჩენა შეუძლიათ.**

– ჩემს ბავშვობაში თბილისის ნგრევის სიმბოლო ალა-მაჰმად-ხანი იყო ახლა ჩვენი თბილისის ნგრევის სიმბოლოები არიან ზოგიერთი მერი, ზოგიერთი არქიტექტორი და ბევრი პოლიტიკოსი. მე წარმოგიდგენთ გუნდს, რომ თბილისის ბოლო ნანგრევები უნიჭო პოლიტიკოსებისგან გადაარჩინოს, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

**მაჟორიტარი კანდიდატების სია დედაქალაქში ასე გამოიყურება:**

მთაწმინდა №1 ოლქი ლადო კახაძე, ვაკის №2 ოლქი ზურაბ ჯაფარიძე, ნაძალადევის №18 ოლქი გიორგი რუხაძე, საბურთალოს №6 ოლქი მამუკა კაციტაძე, კრწანისის №7 ოლქი სოფიო გიორგაძე, ჩუღურეთის №14 ოლქი ნათია კალაძე, სამგორის №11 ოლქი ლევან ხაბეიშვილი, დიდუბე №16 – მანანა ნაჭყებია, ისან-ვაზისუბნის №8 ოლქი სერგო ჩიხლაძე, დიდუბის №15 ირაკლი ღლონტი, ისნის №10 თეონა ჭალიძე, საბურთალოს №4 ოლქი ტატო ჯანაშია, ვაკის №3 ოლქი გია ბეზარიშვილი, ნაძალადევის №19 – გოგიტა ეგრისელაშვილი, გლდანის №22 ლევან ცხადაძე, ისნის №9 ოლქი ედგარ ბარსეგიანი, საბურთალოს №5 ოლქი – ლევან ჩოლოყაშვილი, სამგორი №12 – ლევან იოსავა, სამგორის №13 მარინა ბეკურაული, ნაძალადევის №17 – დავით ნიშნიანიძე.

წარდგენილი კანდიდატებიდან 2 ყოფილი, ხოლო ერთი მოქმედი დეპუტატია. მანანა ნაჭყებია და მამუკა კაციტაძე 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტის წევრები იყვნენ. ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი კი მოქმედი კანონმდებელი ზურაბ ჯაფარიძეა.

ის ჯერაც ვადაგაუსვლელ პარლამენტში ნაციონალების სიით მოხვდა. სიაში მოხვედრამდე ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკას“ ხელმძღვანელობდა. ნაცმოძრაობა მან და კიდევ სამმა დეპუტატმა გასულ წელს უარყო და გირჩის სახელით ცალკე დაბზრიალდა, სანამ ბურჭულაძის ორბიტაზე არ მოხვდა.

მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც არიან. ლევან ხაბეიშვილი და თეონა ჭალიძე „მედიატორს“ წარმოადგენდნენ. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მერიის საქმიანობას აკონტროლებდა და დავით ნარმანიას სისხლი ჰქონდა გამშრალი. მას შემდეგ, რაც ისინი საარჩევნო კამპანიაში ჩაერთნენ, ნარმანიამ აშკარად ამოისუნთქა.

◆ ◆ ◆

„ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საკრებულოდან რამდენიმე დეპუტატი გამოიხმო. 8 ოქტომბერს თბილისი რამდენიმე უბანში საკრებულოს შუალედური არჩევნებიც გაიმართება.

მსოფლიო ბანმა საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვისაც წარადგინა კანდიდატები. ესენი არიან: კრწანისი – ბახრან მუსაევი, ვაზისუბანი – გიორგი ფოფორაძე და გლდანი – ნანა ტოხვაძე.

# დედისა და სამი შვილის მკვლელობაში ბრალდებულმა ციხეში თავი მოიკლა



ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში დედისა და სამი შვილის მკვლელობაში ბრალდებულმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შემთხვევა ერთი კვირის წინ გლდანის მე-8 დაწესებულებაში მოხდა.

მკვლელობა სოფელ ვაჩიანში 10 ივლისს მოხდა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 24 წლის ნოდარ აკოპოვი დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ქურდობის მიზნით საცხოვრებელი სახლში ფანჯრიდან შეაღწია. სახლის მეპატრონემ და მისმა ოჯახის წევრებმა იგი შენიშნეს და წინააღმდეგობა გაუწიეს.

ნოდარ აკოპოვმა მათ თავის არეში ბლაგვი საგნით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დედა და მისი 2 შვილი მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ.

შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულმა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, სახლში ხანძარი განზრახ გააჩინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ოჯახის მეოთხე წევრი, მცირეწლოვანი ბავშვი, წინასწარი ინფორმაციით, გაგუდვის შედეგად დაიღუპა.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

# დონალდ ტუსკი: „ევროპას ლტოლვილთა ახალი ნაკადის მიღება აღარ შეუძლია“



– ევროკავშირს, ფაქტობრივად, ამოეწურა შესაძლებლობა, მიიღოს ლტოლვილთა ახალი ნაკადები და ასევე არარეგულარული ეკონომიკური მიგრანტები, – განაცხადა ევროსაბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა ჩინეთში „დიდი ოცეულის“ სამიტზე.

დონალდ ტუსკმა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, ეს ტვირთი ევროპასთან ერთად გაინაწილოს. მან აღნიშნა, რომ ლტოლვილებთან დაკავშირებული პრობლემა მხოლოდ ევროპას არ ეხება და საუბარი მხოლოდ სირიელ თავშესაფრის მაძიებლებზე არ არის.

– ლტოლვილების დასახმარებლად გაწეულ მხოლოდ გლობალურ ძალისხმევას შეუძლია შედეგის მოტანა. საუბარია 60-70 მილიონ იძულებით გადაადგილებულ პირზე მსოფლიოში. ამ მოვლენას ადგილი აქ, აზიაშიც აქვს, – განაცხადა ევროსაბჭოს პრეზიდენტმა.

დონალდ ტუსკმა საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა, გააკეთოს ყველაფერი, რაც შესაძლებელია იმისთვის, რომ დადგინდეს, თუ რა აიძულებთ ადამიანებს, დატოვონ საკუთარი სახლები.

2015 წელს ევროპაში დაახლოებით მილიონი ლტოლვილი შევიდა. მათმა უმეტესობამ გერმანიის, შვედეთისა და ცენტრალური ევროპის საზღვრები გადაკვეთა. გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წელს ევროპაში უკვე 284. 473 ლტოლვილია შესული. მათი დაახლოებით 30% სირიის ომს გამოქცეული მოსახლეობაა.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

# თარხან ბათირაშვილი ტაჯიკმა გულმუროდ ხალიმოვმა ჩაანაცვლა



ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს ახალი ლიდერი ტაჯიკეთის სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილი მეთაური გულმუროდ ხალიმოვი, იგივე ალ-ტაჯიკი გახდა.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ხალიმოვმა სამხედრო მეთაურის პოსტზე თარხან ბათირაშვილი, იგივე აბუ ომარ ალ-შიშანი ჩაანაცვლა.

– ტაჯიკი გულმუროდ ხალიმოვი არჩეულ იქნა ისლამური სახელმწიფოს ახალ სამხედრო ხელმძღვანელად. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, რათა ახლადარჩეული ლიდერი ავიაიერიშების სამიზნე არ გახდეს, – აცხადებს ანონიმური წყარო ირანულ საინფორმაციო სააგენტოსთან.



ტაჯიკეთის სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი მეთაური ისლამურ სახელმწიფოს 2015 წლის აპრილში შეუერთდა. სამშობლოში ის სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ აშშ-ის სანქციების სიაში იქნა შეყვანილი.

ხალიმოვის ადგილსამყოფელის დასადგენად ნებისმიერი ინფორმაციის სანაცვლოდ შეერთებულ შტატებს 3 მილიონი დოლარი აქვს დაწესებული.

ისლამური სახელმწიფოს ყოფილი ლიდერი, წარმოშობით პანკისელი თარხან ბათირაშვილი, რომელსაც აშშ „ომის გენერლად“ მოიხსენიებდა, მიმდინარე წლის ივლისში აშშ-ის საჰაერო იერიშებს ემსხვერპლა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# განცხადება

2016 წლის 28 ოქტომბერს, 11 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №127), გაიმართება შპს „კა დე ვე ჯორჯიას“ პროექტის მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

2016 წლის 28 ოქტომბერს, 16 საათზე, თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: თბილისი, მოსკოვის გამზ. №14), გაიმართება შპს „კა დე ვე ჯორჯიას“ პროექტის მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

**– თბილისი, ანაგის ქ. 41;www.kdvgeorgia.com (კომპანიის ოფისში)**

**– გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. (მის: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №127; ტელ 595242662)**

**– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის შენობაში (მის: მოსკოვის გამზ. 14; ტელ: 0322374034)**

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**საკონტაქტო პირი: სოფიო კერესელიძე;**

**ელ. ფოსტა:** info@kdvgeorgia.com

**ადმინისტრაცია: ვაჟა სამადბეგიშვილი, 577751619**

# ისლამ ქარიმოვი გარდაიცვალა. საით წავა უზბეკეთი?



უზბეკეთის მთავრობამ დაადასტურა ცნობა პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის გარდაცვალების შესახებ. პრეზიდენტის ქალიშვილმა ლოლამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მამამისი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი გადარჩენის იმედი უკანასკნელ დღემდე ჰქონდათ.

– სამწუხაროდ, იმედი არ გამართლდა, – თქვა ლოლამ.

ისლამ ქარიმოვი მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდანვე წარჩინებული მოსწავლე იყო, შემდეგ კი ორი უმაღლესი განათლება მიიღო, ტექნიკური და ეკონომიკური. შემდგომში სუკის აგენტი გახდა, რაც დაეხმარა პარტიული კარიერის გაკეთებაში. ქარიმოვი 1989 წელს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, შემდგომში უზბეკეთის პირველ პრეზიდენტადაც აირჩიეს. იმ პერიოდიდან სიკვდილამდე პრეზიდენტი იყო.



ქარიმოვი გარკვეულ მომენტამდე სსრკ-ის შენარჩუნებას მხარს უჭერდა, ხოლო სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები შეინარჩუნა. სწორედ ტაშკენტში დაფუძნდა დსთ-ის კოლექტიური დახმარების სისტემა (ტაშკენტის ხელშეკრულება), რომლის წევრი უზბეკეთიც გახდა. შემდგომში ქარიმოვის პოლიტიკა უფრო მოქნილი გახდა. მან გაიყვანა უზბეკეთი დსთ-ის კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებიდან. ქარიმოვი ოსტატურად ლავირებდა რუსეთ-აშშ-სა და რუსეთ-ჩინეთს შორის.



ქარიმოვის მეხოტბენი ამტკიცებენ, რომ უზბეკეთის პრეზიდენტმა შეინარჩუნა სტაბილურობა, თუმცა ეს მხოლოდ მოჩვენებით სტაბილურობაა. უზბეკეთში კლანურ-დესპოტური, კორუმპირებული ტოტალიტარული სისტემა შეიქმნა, სადაც არცერთი პრობლემა არ არის გადაჭრილი. არ არსებობს საშუალო ფენა, საზოგადოება დაყოფილია ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად, მათ შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება, რაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტებსა და დემაგოგებს.

ისლამ ქარიმოვი მშობლიურ სამარყანდში დაკრძალეს. ვინ იქნება მისი მემკვიდრე? – კითხულობს ყველა, თუმცა გაცილებით აქტუალურია მეორე საკითხი: საით წავა უზბეკეთი?

# ობამა: „ამერიკა უკრაინაში რუსეთის აგრესიას წინ აღუდგება“



ჩინეთში დიდი ოცეულის სამიტი გაიხსნა.

ჟურნალისტებთან საუბრისას ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ სირიასთან დაკავშირებით რუსეთთან შეთანხმების დადებისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი.

– რუსები ძალზე აგრესიულად არიან განწყობილნი. ასეთ სიტუაციაში შეთანხმება საეჭვოა, – თქვა მან.

რაც შეეხება უკრაინას, ობამამ აღნიშნა, რომ გაუმართლებელია ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება, რომ პუტინმა უკრაინაში ყველაფერს მიაღწია.

– სინამდვილეში პუტინმა ვერაფერს ვერ მიაღწია. რუსეთმა ვერ შეძლო უკრაინის ევროინტეგრაციის დაბლოკვა, – თქვა ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინის მიმართ აგრესიის გაგრძელების საფრთხე სერიოზულია.

– ამერიკა ამას წინ აღუდგება! რუსეთის ყველა მცდელობა, თავს მოახვიოს უკრაინას საკუთარი ნება, განწირულია! – აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი.

ობამა ჩინეთის ლიდერს შეხვდა. საუბარი ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს შეეხო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩინეთ-აშშ-ს შორის კონფრონტაცია ორივესთვის საზიანოა. ამავე დროს, ობამამ თავის ჩინელ კოლეგას მოუწოდა, დაემორჩილოს ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ჩინეთის პრეტენზიები წყნარ ოკეანეში მდებარე ზოგიერთ კუნძულზე უსაფუძვლოდ ცნო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

## კეიტ მოსი და ბისმარკის შვილთაშვილი საბერძნეთში იქორწინებენ

სუპერმოდელი კეიტ მოსი და ფოტოგრაფი ნიკოლაი ფონ ბისმარკი უბრალო ქორწილს საბერძნეთში გადაიხდიან.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 42 წლის მოდელი და 29 წლის გერმანიის იმპერიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის შვილთაშვილი შობის დღესასწაულამდე გეგმავენ დაქორწინებას. თუმცა წყვილი არ აპირებს, მანამდე დააგზავნოს მოსაწვევები, სანამ მოსის თავის მეუღლესთან, მუსიკოს ჯეიმი ჰინსთან განქორწინება იურიდიულად არ ექნება გაფორმებული.

ფონ ბისმარკმა და მოსმა ერთმანეთი 2015 წლის ზაფხულში, საბერძნეთში დასვენების დროს გაიცნეს. ის, რომ ისინი დანიშნულები იყვნენ, მიმდინარე წლის აგვისტოში გახდა ცნობილი. ამ ზაფხულს კეიტი და ნიკოლაი კვლავაც სტუმრობდნენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყანას. ისინი საბერძნეთის კუნძულ ჰიდრას ეწვივნენ და, სავარაუდოდ, იქ საქორწინო ცერემონიის გასამართ ადგილს ეძებდნენ.

## იტალიაში მიწისძვრიდან მეცხრე დღეს ძაღლი გადაარჩინეს

იტალიის ქალაქ ამატრიჩეში მეხანძრეებმა, რომლებიც სტიქიური უბედურების ზონაში მუშაობენ, დამანგრეველი მიწისძვრიდან მეცხრე დღეს ძაღლი გადაარჩინეს.

ოქროსფერმა რეტრივერმა, სახელად რომეომ, მას შემდეგ, რაც ის ნანგრევებიდან ამოიყვანეს, დამოუკიდებლად მოახერხა ძირს ჩამოხტომა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა.



როგორც მეხანძრეებმა განმარტეს, ისინი ცხოველის პატრონს გაჰყვნენ მათ დანგრეულ სახლთან, რომელთაც სურდათ, იქიდან ზოგიერთი ნივთი ამოეღოთ და სწორედ ამ დროს გაიგონეს ძაღლის ყეფა.

შეგახსენებთ, რომ დამანგრეველ მიწისძვრას იტალიაში 279 ადამიანი ემსხვერპლა. მაშველებმა ნანგრევებიდან 238 ცოცხლად გადარჩენილი ადამიანის ამოყვანა მოახერხეს. ასეულობით ადამიანი დაშავდა, ხოლო უსახლკაროდ დარჩენილთა რაოდენობამ 2,5 ათას ადამიანს მიაღწია.

## ხანდაზმულმა იაპონელმა კარატისტმა დათვის თავდასხმა მოიგერია

ხანდაზმულმა იაპონელმა კარატისტმა ჰიმალაური ჯიშის დათვთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

63 წლის კარატეში შავი ქამრის მფლობელი მამაკაცი პროვინცია გუმაში თევზაობდა. მას თან არანაირი იარაღი არ წაუღია, ამიტომ ტყიდან გამოვარდნილ დათვთან შებმა შიშველი ხელებით მოუხდა. მას შემდეგ, რაც მამაკაცმა დათვს თვალების არეში რამდენიმე დარტყმა მიაყენა, მტაცებელი ცხოველი გაიქცა.



მეთევზემ, მართალია, ცხოველის კბილებისა და ბრჭყალებისგან ტრავმები მიიღო, მაგრამ საავადმყოფომდე მისვლა დამოუკიდებლად მოახერხა.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, დათვები ხშირად იავარჰყოფენ ფერმებს და მოსავალს იპარავენ, თუმცა ადამიანებზე თავდასხმის ფაქტებს დიდი ხანია ადგილი არ ჰქონია. მეთევზეზე ცხოველის თავდასხმის შემდეგ ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები გააძლიერა, ხოლო ადგილობრივმა მონადირეთა კლუბმა ხაფანგების მოწყობის პირობა დადო.

## 12 წლის ამერიკელი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა

ამერიკაში 12 წლის ბიჭი, რომელიც ტეხასის შტატში ცხოვრობს, კორნელის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ჯერემი შულერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ახალგაზრდა მოსწავლე გახდა.



შულერს სკოლაში არ უვლია. მან განათლება სახლში მიიღო, სადაც მშობლები, აეროკოსმოსური სფეროს ინჟინრები ასწავლიდნენ. ჯერემის ორი წლის ასაკში უკვე შეეძლო წერა და კითხვა ინგლისურ და კორეულ ენებზე (ბავშვის დედის მშობლიური ენა). ხუთი წლის ასაკში ბავშვი დამოუკიდებლად კითხულობდა ჯონ ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელს“ და უილიამ დანემის „დიდ მათემატიკურ თეორემებს“ სწავლობდა.

მას შემდეგ, რაც ბავშვი ქალაქ იტაკას უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, შულერის მშობლებმა გადაწყვიტეს, საცხოვრებლად შვილის სასწავლებლის შორიახლოს გადასულიყვნენ და ახლა უკვე მათი ოჯახი ნიუ იორკის შტატში ცხოვრობს.

თავად ბავშვის თქმით, უნივერსიტეტში სწავლა „ჯერჯერობით საკმაოდ ადვილია“.

## შვეიცარიულმა ფირმამ საათი-რობოტი ააწყო

ჟენევის საათების შემოქმედებითმა ლაბორატორიამ მანუფაქტურულ საწარმოსთან ერთად შექმნა სამაგიდო მოძრავი საათი-რობოტი, სახელწოდებით ბალთაზარი. აღნიშნული მოდელი 618 დეტალისგან შედგება.



საათის მექანიზმი, მთვარის ფაზების ინდიკაციით, განთავსებულია ანტროპომორფულ ფიგურაში. ბალთაზარის მექანიზმის გაფორმებაში გამოყენებულია ტრადიციული საათების ტექნიკა.

მოდელი ბალთაზარი ოთხი შეზღუდული სერიით, თითოეული 50 ეგზემპლარითაა გამოშვებული, რომლებიც რობოტის გაფორმების ფერებით განსხვავდება ერთმანეთისგან – შავი, ვერცხლისფერი, ლურჯი და მწვანე.

## აშშ-ში ატრაქციონიდან ჩამოვარდნის შედეგად რვა ადამიანი დაშავდა

შაბათს, 3 სექტემბერს, რვა ადამიანი დაშავდა უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც ტენესის შტატის ქალაქ მემფისის გასართობ პარკში მოხდა.

ინციდენტი ატრაქციონ „მთვარის მრბოლელზე“ მოხდა. ის სხვადასხვა სიბრტყეზე მბრუნავ უზარმაზარ დისკს წარმოადგენს, რომლის შიდა მხარეს განთავსებულ სკამებზე გართობის მსურველები სხედან.



როგორც პარკის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა მეთ სნეიდერმა განაცხადა, ატრაქციონის კომპიუტერმა დაზიანება დააფიქსირა და ავარიული გაჩერება ჩართო. მისი თქმით, ამ დროს ატრაქციონის ოპერატორი პანიკამ მოიცვა და უნებურად უსაფრთხოების სისტემა გამორთო, რომლებიც მგზავრებს ატრაქციონის სრულ გაჩერებამდე სავარძლებზე ამაგრებდნენ.

შედეგად რვა ადამიანი, მათ შორის ორი მოზრდილი და ექვსი ბავშვი, თავიანთი სავარძლებიდან გადმოცვივდნენ და მათი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა აუცილებელი. დაშავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## ალეპოში ბავშვებმა აფეთქების შედეგად წარმოქმნილ ორმოში აუზი მოიწყვეს




სირიის პროვინცია ალეპოში ადგილობრივმა ბავშვებმა სათამაშოდ და საცურაოდ მოაწყვეს ადგილი, სადაც ბომბების აფეთქების შედეგად ორმოები წარმოიშვა და წვიმის წყლით აივსო. ამის ამსახველი ფოტოსურათები პრესაში გავრცელდა.

შეიხ საიდის რაიონში გადაღებულ ფოტოზე ჩანს, რომ ერთ-ერთი ბავშვი იმპროვიზებულ წყალსატევში ჩასაყვინთად ემზადება, ხოლო დანარჩენები ბანაობენ ან წყალსატევის ნაპირზე სხედან და ფეხები წყალში აქვთ ჩაყოფილი.

– ბავშვები ბავშვებად რჩებიან, თუნდაც საბრძოლო მოქმედებების რაიონში, – წერს ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა.

**მოამზადა**
**კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ვლადიმირ ვაისი: „მეტოქესთან თამაშის არ გვეშინია“

დღეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს იწყებს. მეტოქედ ავსტრია ეყოლება, რომელიც საკმაოდ კარგად თამაშობს ბოლო პერიოდში და წელს ევროპირველობაც კი ითამაშა.

ჩვენი ნაკრები დანაკლისით ხვდებიან ავსტრიელებს. პირველ რიგში არ არის კაპიტანი ჯაბა კანკავა. მის გარდა კიდევ იყო რამდენიმე დანაკლისი, ამიტომაც ვლადიმერ ვაისმა მისთვის სასურველ ფეხბურთელებს ბოლომდე ვერ მოუყარა თავი, მაგრამ ბოლო წუთს ისევ მოუხდა ცვლილებების გაკეთება.



ეროვნული ნაკრებიდან, 21 წლამდე გუნდში გადაინაცვლა გიორგი პაპუნაშვილმა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ფეხბურთელი, 21 წლამდე ნაკრების დასკვნითი მატჩისთვის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მოემზადება. ეროვნულ გუნდს გიორგი აბურჯანიაც გამოაკლდა. ფეხბურთელმა ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ვერ შეძლო საწვრთნელი პროცესის გაგრძელება.

ვაისის შეგირდებმა მატჩისწინა, ბოლო ვარჯიში, თბილისის ზღვაზე მდებარე ზესტაფონის ბაზაზე გამართეს. მანამდე ორივე გუნდის მწვრთნელები პრესკონფერენციაზე წარდგნენ და ჟურნალისტებს ესაუბრნენ.

**მარსელ კოლერი, ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ერთკვირიანი, საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. ჩვენი ფეხბურთელები ვარჯიშს დიდი მონდომებით მიუდგნენ. იმედი გვაქვს, ზუსტად იმ გზას გავივლით, რაც ევროპის ჩემპიონატამდე საკვალიფიკაციო ციკლში გავიარეთ. ჩვენი მიზანი რუსეთის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშია, მაგრამ ფეხბურთელები მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე არიან კონცენტრირებულნი. საქართველოს ნაკრებთან მხოლოდ წარმატებისთვის ვიბრძოლებთ... ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის უკვე წარსულია. ჩემი გუნდი მომავალზეა ორიენტირებული და ვნახოთ რა იქნება მომავალში... საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პირველ რიგში თორნიკე ოქრიაშვილსა და ვაკო ყაზაიშვილს გამოვყოფდი. ვფიქრობ მთლიანად გუნდს კარგად შეუძლიათ ფეხბურთის თამაში და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ეცდებიან შეტევაშიც წავიდნენ.

**ვლადიმირ ვაისი:**

– საკვალიფიკაციო ეტაპი მხოლოდ ახლა იწყება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, პირველი შეხვედრა კარგად ჩავატაროთ. ჯგუფს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, ყველა მატჩი თანაბარი იქნება. სწორი ბალანსი უნდა ვიპოვოთ. როგორც დაცვას, ისე თავდასხმას ყურადღება უნდა მივაქციოთ. თუ ხვალ 100%-ით დავიხარჯებით, სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე პორტუგალია), ნუკრი რევიშვილი (უგუნდოდ).

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა).

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი (გაბალა, აზერბაიჯანი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (უგუნდო), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური, ლაშა პარუნაშვილი (ორივე დინამო თბ).

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ოთარ მარცვალაძე (ორდაბასი, ყაზახეთი).

## შედეგები

3 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| ეთიოპია-სეიშელი | 2:1 |
| კამერუნი-გამბია | 2:0 |
| ანგოლა-მადაგასკარი | 1:1 |
| განა-რუანდა | 1:1 |
| ნიგერია-ტანზანია | 1:0 |
| კაბო ვერდე-ლიბია | 0:1 |
| მოზამბიკი-მავრიკია | 1:0 |
| სენეგალი-ნამიბია | 2:0 |
| კოტ დივუარი-სიერა ლეონე | 1:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მირანდესი-კადისი | 3:2 |
| ალმერია-რაიო | 3:0 |
| ვალიადოლიდი-ხირონა | 2:1 |
| ხეტაფე-რეუსი | 1:1 |
| ელჩე-ტენერიფე | 3:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ბრეშა-ფრიზონონე | 2:0 |
| პერუჯა-ბარი | 0:1 |
| ჩიტადელა-ტერნანა | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევრ-2017. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ისლანდია | 64:75 |
| ბულგარეთი-სლოვენია | 78:83 |
| ბელარუსი-პოლონეთი | 79:97 |
| შვეიცარია-ბელგია | 72:87 |
| სლოვაკეთი-საქართველო | 63:94 |
| უნგრეთი-ლუქსემბურგი | 89:64 |
| ალბანეთი-ჩერნოგორია | 73:113 |
| დანია-ჰოლანდია | 72:90 |
| დიდი ბრიტანეთი-მაკედონია | 96:79 |
| პორტუგალია-ესტონეთი | 68:76 |
| კოსოვო-უკრაინა | 63:70 |
| ბოსნია-შვედეთი | 74:71 |
| ავსტრია-გერმანია | 59:61 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ზიგემუნდი-ვ.უილიამსი | 1:6,2:6 |
| ნიშიკორი-მაიუ | 4:6,6:1,6:2,6:2 |
| კარლოვიჩი-დონალდსონი | 6:4,7:6,6:3 |

# თედორე გრიგალაშვილი: „ვცდილობ, წარსული დავივიწყო“



საფეხბურთო კლუბი საბურთალო ახალი, გარდამავალი ჩემპიონატისთვის რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერდა. კლუბმა დაცვაში გროზნოს ტერეკისა და საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი თედორე გრიგალაშვილი დაიმატა, რომელმაც დედაქალაქური კლუბი საგრძნობლად გააძლიერა.

**თედორე გრიგალაშვილი:**

– ადაპტაციამ ნორმალურად ჩაიარა, საბურთალოში თბილად დამხვდნენ, ბიჭებთან მალე დავმეგობრდი. ძალიან კარგი და ნაყოფიერი ვარჯიშები გვაქვს. კლუბი მთლიანად პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, რაც მახარებს. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი, რომ ამ კლუბის წევრი გავხდი. საბურთალო, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, პროგრესირებადი და წარმატებული კლუბია.

***– საწვრთნელი პროცესი რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ განაახლეთ. თავდაპირველად ვარჯიშები ხომ არ გაგიჭირდათ?***

– რუსეთში თამაშისას ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შემექმნა – ტვინის შერყევა მივიღე და ცოტა ხნით იძულებით ჩამოვშორდი ფეხბურთს. ასეთ დროს, ვარჯიშის დაწყება ყოველთვის რთულია, ფაქტობრივად ნულიდან იწყებ ყველაფერს, მაგრამ ახლა კარგად ვგრძნობ თავს და ვატყობ, რომ ნელ-ნელა შევდივარ სათამაშო ფორმაში. იმედი მაქვს, გარკვეული დროის შემდეგ, უფრო უკეთ წარმოვაჩენ თავს და ხელმძღვანელების იმედებს გავამართლებ.

***– რუსეთის პრემიერლიგაში მიღებული ტრავმა ახსენეთ და აქვე გკითხავთ – რუსეთისა და საქართველოს ჩემპიონატები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამას როგორ შეეგუეთ?***

– ზესტაფონის შემადგენლობაში ადრეც ვთამაშობდი საქართველოს ჩემპიონატში, ახლა კი საბურთალოს წევრი ვარ. ჩვენს პირველობაზე ბევრია დაძაბული და საინტერესო მატჩები, იოლ მოგებას ვერსად დაგეგმავ. რაც შეეხება რუსეთის პრემიერლიგას, ყოველწლიურად ძლიერდება, უფრო და უფრო სანახაობრივი და საინტერესო ხდება. ძალიან დიდი ფინანსები იდება და ამიტომაც არის, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ჩემპიონატია. მატჩებზე დასწრებაც გაზრდილია რუსეთის პირველობაზე, ყოველი თამაში იქ უდიდეს ინტერესს იწვევს.

***– ვიდრე საბურთალოს ფეხბურთელი გახდებოდით, რა იყო პირველი, რაზეც არჩევანი ამ კლუბზე გააკეთეთ?***

– პირველი ის, რომ კლუბში პროფესიონალები მუშაობენ. ბევრისგან მქონდა გაგონილი და მოსმენილი, რომ საბურთალოს სწორი გეზი აქვს აღებული, შედეგებს კი ნელ-ნელა იმკის. ადვილი არ არის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა, ამ კლუბმა კი საკუთარი აღზრდილი ფეხბურთელებით მოახერხა უძლიერესთა შორის ასპარეზობა. თბილისურ კლუბს დიდი გეგმები და მიზნები აქვს. მჯერა, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ამის განხორციელებას შეძლებს.

***– საბურთალოს ესპანელი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელსაც ქართველი სპეციალისტები ეხმარებიან. ესპანური ფეხბურთი კი ერთ-ერთი წარმატებულია მსოფლიოში.***

– პაბლო ფრანკო მარტინი და სამწვრთნელო შტაბი ბევრს მუშაობენ, რათა კლუბს წარმატება ჰქონდეს. ჩვენ უფრო ტექნიკური ვარჯიშები გვაქვს, ბურთთან ხშირი შეხებით, თუმცა არც ფიზიკა გვავიწყდება ხოლმე. რუსეთის ჩემპიონატში განსხვავებული მდგომარეობაა – იქ აქცენტი ფიზიკურ დატვირთვებზე კეთდება და ბურთს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ყველა ქვეყანაში ფეხბურთისადმი თავისებური მიდგომაა.

***– ეროვნულ პირველობაზე საბურთალოს სტარტს როგორ შეაფასებთ?***

– ვფიქრობ, ცუდი სტარტი არ გვქონია, თუმცა უკეთესობა შეიძლებოდა. სადებიუტო მატჩებში ძლიერ კლუბებს შევხვდით და ოთხი ქულა ავიღეთ. ამავდროულად, სამიდან ორი შეხვედრა მეტოქის მოედნებზე გავმართეთ. წინ კიდევ ცხრა თამაში გველის და ვეცდებით უფრო უკეთ წარმოვაჩინოთ თავი. პოტენციალი გვაქვს, რომ კიდევ უფრო მოვუმატოთ. მჯერა, მალე უკეთ ავთამაშდებით.

***– რამდენად საინტერესოა გარდამავალი ჩემპიონატი?***

– შეიძლება ითქვას, შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს, რადგან ძალიან ცოტა თამაში გვიწევს. მთლიანობაში ჩემპიონატში 12 თამაში უნდა ვითამაშოთ, რაც ძალიან ცოტაა. თუმცა, პირველობა განსხვავებული ფორმატით ტარდება და კლუბები ჯერაც შეგუების პროცესში არიან. სამწუხაროდ, კვლავ პრობლემებად რჩება მოედნების საკითხი – ფოთში, დასანანი ქულები დავკარგეთ, არადა, მინდვრის საფარი ნორმალურ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, იმ შეხვედრაში გავიმარჯვებდით. არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ მარცხს მოედანს ვაბრალებ, თუმცა ბურთის გაგორება და კომბინაციის წამოწყება შეუძლებელი იყო.

***– ახლანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, რუსეთში კარიერა რატომ ვერ აგეწყოთ?***

– თავდაპირველად, სავიზო პრობლემები შემექნა, რამაც გარკვეული დრო დამაკარგვინა, შემდეგ კი როგორც ზემოთ გითხარით, რთული ტრავმა მივიღე და ამის გამო რამდენიმე თვე გამიცდა. ფეხბურთელის ცხოვრებაში იღბალი ძალიან დიდ როლს თამაშობს, რუსეთში ფორტუნა ჩემს მხარეს არ იყო. თუმცა, ეს ყოველივე უკვე წარსულია და ვცდილობ ცუდ პერიოდზე ნაკლები ვიფიქრო.

***– ფაქტობრივად, ყველა ასაკობრივ ნაკრებში გითამაშიათ გარდა ეროვნულისა. ალბათ დადგება დრო, როდესაც ქვეყნის პირველი გუნდის მაისურასაც მოირგებთ.***

– ნაკრებში თამაში ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა. არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშზე არ ფიქრობდეს. ვარჯიშები იქნება თუ თამაშები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ყურადღება დავიმსახურო. ამ შანსს ველოდები და აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

# საქართველომ სლოვაკეთიც გაანადგურა

*დასაწყისი მე-12 გვერდზე*

დროს სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შესვლისთვის ანალოგიური სასჯელი მიიღო ვიქტორ სანიკიძემ.

საქმე მოთავებული იყო, ქართველები 21 ქულით იგებდნენ, მაგრამ მოუთოკავი ემოციების გამო თავი საფრთხეში ჩაიგდეს. მართალია, მეორე ტაიმში ქართველებმა კიდევ უფრო დამაჯერებლად ითამაშეს და სლოვაკებს სულ კუდით ქვა ასროლინეს, მაგრამ 2 დისკვალიფიცირებული მოთამაშე გვარიანად სანერვიულოა. მატჩიდან დისკვალიფიცირებულ კალათბურთელთაგან ვიქტორ სანიკიძე მომავალ შეხვედრაში ითამაშებს, ხოლო ბესო ლეჟავას საკითხი ჯერ ცნობილი არაა და მას ფიბა-ს დისციპლინარები გადაწყვეტენ. რაც შეეხება ტრავმირებულ ანატოლი ბოისას, რომელმაც ცხვირი გაიტეხა, ის 7 სექტემბერს, მონტენეგროსთან თამაშს დამცავი ნიღბით თამაშს შეძლებს.

ყველამ, ვინც თამაშში ჩაერთო, შესანიშნავად ითამაშა. თორნიკე შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას ტანდემმა მატჩის დებიუტში სლოვაკების ფარქვეშეთი დაიპყრო და ჩვენს ნაკრებს ამით დიდი უპირატესობა მოუპოვა. შენგელია თავად ბლომად ბურთებს ყრიდა, უკანა ხაზიდან კი მას ზურგს მაიკლ დიქსონი უმაგრებდა, რომელმაც საბოლოოდ 4-დან 4 სამქულიანი, მთლიანობაში კი 16 ქულა (პლუს 7 პასი) მიითვალა. ბომბარდირ შენგელიას კი ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – მის ანგარიშზე 18 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

10 ქულას ასცდნენ დუდა სანაძე (14 ქულა), ბექა ბურჯანაძე (13) და ზაზა ფაჩულია (12). გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 6 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა დაგროვდა.

ჩვენივე ჯგუფში ჩერნოგორიელებმა სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხეს ალბანეთის ნაკრები – 113:73 და, ქართველების მსგავსად, მათაც 2 მოგება გაუხდათ.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩერნოგორია | 2 | 2 | 0 | 210:138 | 4 |
| 2.საქართველო | 2 | 2 | 0 | 180:110 | 4 |
| 3.სლოვაკეთი | 2 | 0 | 2 | 128:191 | 2 |
| 4.ალბანეთი | 2 | 0 | 2 | 120:199 | 2 |

# თავისუფალ მოჭიდავეთა ორი ბრინჯაო




ფრანგულ მაკონში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა შმაგი თოდუამ (60) და ტარიელ გაფრინდაშვილმა (74) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მედლამდე ერთი გამარჯვება დააკლდა რობერტ დინგაშვილს (50).

თოდუამ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში საფრანგეთის წარმომადგენელი ილმან მუხტაროვი 11:6 დაამარცხა, გაფრინდაშვილმა კი სასწაულებრივად შემოატრიალა შეხვედრა აზერბაიჯანელ მურად სულეიმანოვთან, ქართველი ფალავანი 0:9-ს აგებდა თუმცა მეტოქე უმალვე სუფთად დააწვინა და წმინდა გამარჯვებაც მოიპოვა.

დინგაშვილმა მედლისათვის შეხვედრა ყაზახ იერბულან სარკიტბაევთან 6:12 დათმო და მე-5 ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. ხალიჩაზე გივი მაჭარაშვილიც (97) გავიდა თუმცა მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ასპარეზობას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## კარლ ლაგერფელდმა ფანქრების დიზაინერული კოლოფი შექმნა

დიზაინერმა კარლ ლაგერფელდმა, შანელის სახლის კრეატიულმა დირექტორმა და საკუთარი სახელობითი ბრენდის დამფუძნებელმა, ფანქრების უნიკალური კოლოფი გამოუშვა.



საგანგებოდ ფირმის ფაბერ-კასტელისთვის, რომელიც ფერადი ფანქრების გამოშვებითაა დაკავებული, ლაგერფელდმა შექმნა უნიკალური დიზაინერული კარლბოქსი, რომელშიც 350 ფერის ფანქარია თავმოყრილი.

კოლოფები, რომლებიც ჩინურ საქორწინო ზარდახშებს წააგავს, რომლებშიც უამრავი უჯრაა, 2,5 ათასი ცალია გამოშვებული და მხოლოდ ფირმის საფირმო მაღაზიებში, კარლ ლაგერფელდის ბუტიკებსა და ლონდონის უნივერმაღებში გაიყიდება.

ყოველი ფანქარი სპეციალურ უჯრაშია შეფუთული, ფერები თავად დიზაინერის მიერ შერჩეული თანამიმდევრობითაა განთავსებული. თითოეული ასეთი კოლოფის ფასი 2,5 ათას ევროს შეადგენს.

## ბრიტანელმა ქირურგმა ქალის იდეალური სახე „შეაკოწიწა“



ბრიტანელმა პლასტიკურმა ქირურგმა იდეალური ქალის ფოტოპორტრეტი შექმნა, რისთვისაც ცნობილი ქალების სახის ნაკვთები გამოიყენა და რომლის გაკეთებასაც ოპერაციის დროს ყველაზე ხშირად უკვეთდნენ პაციენტი ქალები.

იმისთვის, რომ იდეალური ლამაზმანის ფოტორობოტი შეექმნა, ჯულიან დე სილვამ გააანალიზა ბოლო 10 წლის განმავლობაში მასთან მისული ქალების მოთხოვნები და მათ შორის ყველაზე პოპულარულები შეარჩია. მან ათასამდე პაციენტის შემთხვევა შეისწავლა.

ექიმმა გამოარკვია, რომ ყველაზე ხშირად მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინის ცხვირის მსგავსს ითხოვდნენ. დე სილვამ აღნიშნა, რომ ის თავადაც მიიჩნევს პრინც უილიამის მეუღლის ცხვირს სრულიად უნაკლოდ. ექსპერტის აზრით, ჰერცოგინიას სახის ამ ნაწილის პროპორციები „მათემატიკურად სწორია“.

პაციენტები ქირურუგს ასევე ხშირად სთხოვდნენ ისეთ თვალების ჭრილსა ყვრიმალებს, როგორიც კირა ნაიტლის აქვს, ჯენიფერ ლოპესის წარბებსა და პენელოპა კრუსის ტუჩებს. გარდა ამისა, პაციენტები მას „უკვეთდნენ“ მაილი საირუსის შუბლს, სელენა გომესის ნიკაპს, შერის ყბასა და ისეთ კანს, როგორიც რიზ უიზერსპუნს აქვს.

## ასტროპროგნოზი
### 5 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ფულის შოვნის ახალ წყაროს მიაგნებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში დაგეხმარებათ. მთლიანობაში, წარმატებული დღეა. **კურო** – პლანეტები კვლავ გაფრთხილებენ: ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – ერთ-ერთი უიღბლო დღეთაგანია. გამორიცხული არ არის მატერიალური ზარალი. ასევე სასურველია, გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას და ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ. **კირჩხიბი** – თავგადასავლების ძიებას შეეშვით. უმჯობესი იქნება, თუ დაისვენებთ წიგნით ან გაზეთით ხელში. **ლომი** – წარმატება ელით კომერციული საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს. მიზანს იოლად მიაღწევთ. ფულს შოულობთ. **ქალწული** – ყოველმხრივ ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ახალგაცნობილი ადამიანი სასარგებლო იდეას მოგაწვდით. **სასწორი** – დიდი შანსია, ცდუნების აყოლამ სავალალო შედეგი გამოიღოს. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **მორიელი** – დაისვენეთ კულტურულად, ეწვიეთ მუზეუმებს, საგამოფენო დარბაზებს. ახალი შთაბეჭდილებები სულიერად გაგამდიდრებთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მძიმე სამუშაოს. ეს თქვენი ჯანმრთელობისთვის დაუშვებელია. შესაძლოა ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **თხის რქა** – ნებისმიერ გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ. მიზანს იოლად მიაღწევთ, ოღონდ ეს თქვენი ჯანმრთელობის ფასად არ უნდა მოხდეს. **მერწყული** – თქვენი კომუნიკაბელურობა და სწრაფი რეაქციის უნარი საშუალებას მოგცემთ, დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვათ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ ანდა საერთოდ სამომავლოდ გადადეთ. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ფორბსმა ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელები დაასახელა



ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდხენი ფორბსის ვერსიით მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელების რეიტინგს უდგას სათავეში. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ივნისამდე პერიოდში მისმა შემოსავალმა 30,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილზე კიდევ ერთი ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ლიმა გავიდა, რომლის შემოსავალმა ერთი წლის მანძილზე 10,5 მილიონი დოლარი შეადგინა. ლიმა ვიქტორია სიქრეთსის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი „ანგელოზია“. მესამე ადგილი გაინაწილეს კენდალ ჯენერმა და კარლი კლოსმა, თითოეულის შემოსავალმა 10 მილიონი დოლარი შეადგინა.

## ამერიკაში ოჯახური „სოფელი“ იყიდება

ნიუ იორკის შტატში, ლონგ-აილენდზე, ჰემპტონსის პრესტიჟულ რაიონში, გასაყიდად იქნა გამოტანილი „მინი-სოფელი“, რომელიც სამი სახლისგან შედგება. კომპლექსი 65 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

დებს მარშას, ლინდასა და ჯეინ ჰელდს ოდესღაც ერთმანეთის სიახლოვეს სურდათ ცხოვრება, ამიტომ მათ სამი სახლი თავისი სამი აუზით ერთ კერძო ტერიტორიაზე ააშენეს. თუმცა ამ დროის-



თვის ვითარება შეიცვალა, ბავშვები წამოიზარდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეს.

1986 წელს აშენებული ნაგებობა წყალსატევის მახლობლად 13 ჰექტარ ტერიტორიაზეა განთავსებული. მამულის ტერიტორიაზე გაყვანილია კერძო გზა, მითითებულია განცხადებაში.

## დანიელი პრემიერი ფოტოშოპ-ბრძოლის გმირად იქცა

დანიის პრემიერ-მინისტრ ლარს ლეკე რასმუსენის ფოტოსურათმა, რომელიც ერთ-ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ფეისბუქში გამოაქვეყნა, რედიტის მომხმარებლების ყურადღება მიიპყრო, თავად ჩინოსანი კი მრავალრიცხოვანი ფოტოშოპების გმირად იქცა.



რასმუსენის სურათი გამოქვეყნდა განყოფილებაში სახელწოდებით „ფოტოშოპ-ბრძოლები“ და პორტალმა ხელმომწერებს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით უამრავი სურათის შექმნისკენ უბიძგა.

რედიტის მომხმარებლების მონდომების შედეგად დანიის ხელისუფლების თავმჯდომარე როკ-მუსიკოს ოზი ოზბორნად გადაიქცა, ასევე კარის სახელურის როლშიც მოგვევლინა, ინგლისის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელად წარმოგვიდგა ჯორჯ ორუელის რომანიდან „1984“ და ასევე რობოტ-ტერმინატორს დაემსგავსა. გარდა ამისა, პრემიერი აქციეს ფილმ „მატრიცას“ მთავარ პერსონაჟად, რომელმაც ეს-ესაა ვირტუალური ძილის შემდეგ გამოიღვიძა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ესპანური კაფე ზრდილობიანებს ყავას გაუიაფებს

ესპანეთის ქალაქ ლიანსასი მდებარე კაფემ ყავასა და დესერტზე ზრდილობიანი მომხმარებლებისთვის დაბალი, ხოლო დაბალი კულტურის ადამიანებისთვის მაღალი ფასები დააწესა. ამ ექსპერიმენტის თაობაზე ინფორმაცია ახლახან გავრცელდა.




დილის სადილისთვის შეკვეთის ფასი უზრდელებისთვის, რომელიც ყავისა და ნამცხვრისგან შედგება, ხუთ ევროს შეადგენს. იგივე შეკვეთა იმ კლიენტებისთვის, რომლებიც კეთილგანწყობით გამოირჩევიან და „მადლობას“ ამბობენ, ფასი სამი ევროა, ხოლო მათთვის, რომლებიც ბარმენს დილა მშვიდობისას უსურვებენ, სულ რაღაც 1,3 ევროს გადაიხდიან.

აღსანიშნავია, რომ აქციის წესები და ზუსტი ფასები კაფეს მფლობელებმა პლაკატზე დაბეჭდეს და დაწესებულების შესასვლელთან გამოაკრეს.

კაფეს მეპატრონე მარისელ ვალენსია მადრიდმა განაცხადა, რომ ეს მისი პირადი ომია ესპანურ უკულტურობასთან და პირველი შედეგები უკვე მიღწეულია: კლიენტების ურთიერთობა დაწესებულების პერსონალთან გაცილებით სასიამოვნო გახდა. თავად მეპატრონე წარმოშობით კოლუმბიიდანაა და, მისი თქმით, ვერაფრით შეეგუა იმ ფაქტს, რომ მისთვის ახალ ქვეყანაში ადამიანები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საკუთარი ქცევის მანერას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. საფუტკრე; 2. შლამის თევზი; 3. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 4. ცეცხლის ანადენი; 5. ... ბესინჯერი; 6. „... შეჯდა მწყერი ხესა“; 7. ერთხმიანი საოპერო პარტია; 8. სუსტი არაყი; 9. მსუბუქი ნამცხვარი; 10. რისამე საგანგებო ნარევი; 11. „..., დამაცადე!“; 12. ... ტაისონი; 13. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 14. კაენის ძმა; 15. ... გიბსონი; 16. ბუნებრივი საღებავი; 17. ქიმიური ელემენტი; 18. ნაპოლეონის მარშალი; 19. ტროპიკული ხილი; 20. მდინარის მტაცებელი თევზი; 21. კუნთებზე მიმანიშნებელი წინსართი; 22. ბერძნული ანბანის ასო; 23. ლეოპარდი; 24. მწუხარების გამომხატველი შორისდებული; 25. ჭადრაკის ფიგურა; 26. რომან „კენტავრის“ ავტორი; 27. ნიავი; 28. ორიანი ნარდში; 29. ერთეული ვექტორი; 30. თხევად და ფხვიერ ნივთიერებათა საწყაო ძველად; 31. ... მარქსი; 32. ეკრანი; 33. მიწის ფართის ინგლისური საზომი ერთეული; 34. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაკხანალია; 2. მოპედი; 3. შეპარდი; 4. ფობია; 5. ჰარვარდი; 6. ჯიხვი; 7. მექსიკა; 9. კახასა; 13. ბელგა; 17. საკე; 18. რძე.

**თარაზულად:** 1. ბუდიზმი; 3. შერიფი; 8. ტაბიძე; 10. ვერსალი; 11. თალხი; 12. ბაიკალი; 14. ფაუსტი; 15. უდინეზე; 16. დასტა; 19. ალგეთი; 20. სააკაძე; 21. ჯაგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბურგასი; 2. ნაბუკო; 3. შუშაბანდი; 4. ღვინიო; 5. გორდონსი; 7. არნო; 11. ბაიყუში; 13. დესპანი; 15. დელტა; 16. ჭერხო; 18. ამანი; 19. რევიუ.

**თარაზულად:** 6. უვრაჟი; 8. ფარლული; 9. როიტერი; 10; აპლომბი; 12. ტონგა; 14. პოლისი; 17. დისპაშერი; 20. ლაუდერი; 21. უტზონი; 22. ნუნისი; 23. როსბერგი.

# ქართველი ბანი კანარის კონკურსის გამარჯვებული გახდა

ქართველი საოპერო მომღერალი კახაბერ შავიძე კანარის ვოკალისტთა რიგით მე-9 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა.



კონკურსი კორსიკაში 29 აგვისტოს დაიწყო და 2 სექტემბერს გამარჯვებულთა გამოვლენითა და საზეიმო დაჯილდოებით დასრულდა.

პირველი ადგილის მფლობელი და კონკურსის ტრიუმფატორი ქართველი ბანი კახაბერ შავიძე გახდა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტებს შორის საერთაშორისო ჟიურიმ რჩეულები დაასახელა და მათ საპრიზო ადგილები მიანიჭა.

ქართველი საოპერო მომღერლის გამარჯვების ამბავი მისმა კოლეგებმა გაავრცელეს და ახალგაზრდა მომღერალს კარიერაში შემდგომი წარმატებები უსურვეს.

# მცხეთის ჯვრის მონასტერზე მცირე ტაძრის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მცხეთაში, ჯვრის მცირე ტაძარზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ამჟამად სრულდება ტაძრის გაფხვიერებული ქვის საკონსერვაციო სამუშაოები.



კედლის ძლიერად დაზიანებული ადგილები ქვის ახალი კვადრებით შეივსო, თუმცა მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარზე ქვის სტრუქტურული დასუსტებით გამოწვეული დაზიანებები კვლავ პროგრესირებს.

ტაძრის მდებარეობიდან გამომდინარე, მასზე მუდმივად მოქმედებს ქარი და ატმოსფერული ნალექები, რაც ქვის დაშლის პროცესს აჩქარებს.

ცოცხალი ორგანიზმები, ბაქტერიები, სოკოები, წყალმცენარეები, გავლენას ახდენს სამშენებლო მასალების დაზიანების პროცესზე. მასალის ზედაპირებსა და სიღრმეში დასახლებული მიკროორგანიზმების ბიოლოგიური აქტიურობის შედეგად იფიტება და ზიანდება ქვა. შედეგად, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი მუდმივად საჭიროებს რეაბილიტაციას. სწორედ ამიტომ შესასრულებელი სამუშაოების გაგრძელება 2017 წელსაც იგეგმება.

# სამგლოვიარო განცხადებები

## რეზიკო ხარჩილავას მონატრება!

საყვარელო რეზიკო, ორმოცი ცრემლიანი, ტკივილიანი დღე გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა შენმა სპეტაკმა სულმა!

ყველასთვის საყვარელო, ჰუმანურო, კეთილშობილო, ძალიან გვაკლიხარ!

ცრემლი არ შეშრობიათ შენი ოჯახის წევრებს!

საამაყოდ გაგიზრდიან შენს ვაჟკაცებს, რომლებშიც შენი სიცოცხლე გრძელდება, შენი საყვარელი მეუღლე თათია, ნანი ბებია და შენი მშობლები!

გვიყვარხარ, უსაზღვროდ გვენატრები!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

***ნათესავები: კუსუნა და გოჩა მზარელუები***



ივანე ჯაფარიძე და ტატა გედევანიშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ნუკრი სანაძეს მეუღლის, პირველი ქართველი ნიჩბოსანი ქალის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატის, შესანიშნავი ქალბატონის

**ლამარა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბათუმობისთვის გამოფენილი ქოლგები მოსახლეობამ ჩამოგლიჯა



ბათუმმა სახალხო დღესასწაული „ბათუმობა 2016" ორდღიანი ღონისძიებებით აღნიშნა. სახალხო დღესასწაულის ტრადიცია რამდენიმე წლის წინ აღდგა.

სანახაობების მთავარი ადგილები აღმოჩნდა ევროპის მოედანი, ანბანის კოშკი, 6 მაისის პარკი. გაიმართა ფოტოკონკურსები, ფოტოგამოფენები, პრინტის საერთაშორისო ფესტივალი, ხელნაკეთი ნივთებისა და კულინარიული გამოფენები.

ქალაქი დღესასწაულისთვის განსაკუთრებულად მოირთო. ყველაზე შთამბეჭდავი ცაში გამოკიდებული ქოლგები იყო. მემედ აბაშიძის ქუჩაზე დაკიდეს 2.000 ფერადი ქოლგა, ფერადი ქოლგებით მოირთო დუმბაძის ქუჩაც. სანახაობა მართლაც ულამაზესი იყო – ფერადი ქოლგებით აჭრელებული ცის ქვეშ უამრავმა ბათუმელმა და ტურისტმა გადაიღო ფოტო.

წვიმამ და ქარმა ქოლგები ძირს ჩამოყარა, დანებით შეიარაღებული ადამიანები კი შეესივნენ, ქოლგები მოგლიჯეს და სახლებში წაიღეს.

სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორების განცხადებით, ქოლგების დატოვებას ისინი ქუჩებზე ერთი კვირის განმავლობაში აპირებდნენ, თუმცა, ვანდალური ფაქტის გამო, იძულებული არიან, ინსტალაცია მოხსნან.

# გია ბუღაძე ახალ ნამუშევრებს ეროვნულ გალერეაში გამოფენს



6 სექტემბერს მხატვარი გია ბუღაძე თავის ახალ ნამუშევრებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გამოფენს.

„უფსკრული უფსკრულს გასძახის" – ასეთია გია ბუღაძის პერსონალური გამოფენის სახელწოდება, რომელიც ეყრდნობა 41-ე ფსალმუნის მე-7 მუხლის ერთმნიშვნელოვან ფრაზას და გადმოგვცემს იმ დრამატიზმს, რომელიც შინაგანი და გარეგანი სამყაროს დაპირისპირებაში მდგომარეობს.

პროექტი „უფსკრული უფსკრულს გასძახის" გაგრძელებაა პროექტისა, რომელიც დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ორი წლის წინ იყო წარმოდგენილი.

# ანუკი არეშიძემ კიევის მოდის კვირეულზე ახალი კოლექცია წარადგინა



ქართველმა დიზაინერმა ანუკი არეშიძემ კიევის მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა და 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლესი კოლექცია წარადგინა.

კიევმა მერსედეს ბენც კიევ ფეშენ ვიქს უმასპინძლა და მასში სხვადასხვა ქვეყნის დიზაინერებთან ერთად ქართველი დიზაინერიც მიიწვია. ანუკის ნამუშევრებმა საზოგადოებისა და მოდის კრიტიკოსებისგან დიდი მოწონება დაიმსახურა და მისი კოლექცია ვოგმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზეც განათავსა.

ანუკიმ პოდიუმზე 30-მდე სამოსი წარმოადგინა. მის კოლექციაში ღია ფერები ჭარბობს და მათი ნახვის შესაძლებლობა ვოგის ოფიციალურ საიტზე ყველა მსურველს შეუძლია.

# გუდაბერტყას ნამოსახლარზე უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა



გუდაბერტყას ნამოსახლარზე ახალი უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის, ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულის ნახანძრალი შენობა, რომელიც, სავარაუდოდ, საკულტო ნაგებობა იყო.

გათხრების დროს ნაპოვნია იმ პერიოდის ჭურჭელი, გამომწვარი ბათქაში, რელიეფები.

სოფლების სვენეთსა და ახალშენს შორის მდებარე გუდაბერტყას ნამოსახლარზე არქეოლოგიური სამუშაოები გაზაფხულიდან მიმდინარეობს. გათხრებს არქეოლოგი გოგი მინდიაშვილი ხელმძღვანელობს.

გუდაბერტყას არქეოლოგიური გათხრები მნიშვნელოვანი ობიექტია ტურისტული თვალსაზრისითაც. ის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის 77-ე კილომეტრზე მდებარეობს და ამ არქეოლოგიურ საიტზე მისულ ტურისტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ როგორც უკვე აღმოჩენილ არტეფაქტებს, ასევე დაათვალიერონ არქეოლოგიური გათხრების პროცესიც.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### თოლიამ სურათი ფოტობომბად აქცია



ბრიტანეთის ქალაქ ბრაიტონის პლაჟზე მშიერმა თოლიამ დამსვენებელ სტუდენტ გოგონას ხელიდან ნაყინი გამოსტაცა და ფოტობომბის გმირად იქცა.

როგორც 23 წლის ტარა დალინტარამ განაცხადა, რომელიც რედინგის უნივერსიტეტის სტუდენტია, არდადეგების დღეს ის ორ მეგობართან ერთად გაემგზავრა სანაპიროზე. იქ მათ ზღვის პროდუქტებით ისაუზმეს და უკვე დესერტით პირის ჩატკბარუნებას აპირებდნენ, მას შემდეგ, რაც სურათს გადაუღებდნენ, მაგრამ მოულოდნელად თოლია გამოჩნდა, რომელმაც გოგონა სახტად დატოვა. ტარას ცალ ხელში ნაყინი ეჭირა, ხოლო მეორეში სმარტფონი ჰქონდა მომარჯვებული სურათის გადასაღებად. სწორედ ამ მომენტში თოლიამ ნისკარტი ჩაავლო ნაყინს და მის სოლიდურ ნაწილთან ერთად გაფრინდა.

გოგონამ საკუთარ ინსტაგრამ-აკაუნტში გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებიდანაც ერთზე ნაყინია დაფიქსირებული და მეორეზე, რომელიც ფოტობომბად იქცა, ის მომენტია ასახული, როდესაც თოლიამ ნაყინი გასტაცა.

გოგონა იმ დღეს ნუგბარის გარეშე დარჩა. მისი თქმით, მართალია, მეგობრებმა მას საკუთარი ნაყინი შესთავაზეს, მაგრამ ამ შემთხვევამ მადა დაუკარგა და პირის ჩატკბარუნებაზე უარი თქვა.

### დუბაიში მსოფლიოში ყველაზე დიდი დახურული პარკი გაიხსნა



დუბაიში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე დიდი გასართობი პარკი დახურულ სივრცეში. მისი გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა დუბაის მმართველი, არაბთა გაერთიანებული საემიროების შეიხი მოჰამედ ბენ რაშიდ ალ-მაკტუმი.

პროექტის ღირებულებამ 1 მილიარდი დოლარი შეადგინა. პარკის სივრცე 28 ფეხბურთის მოედნის შესაბამისია.

პარკი რეგიონში პირველი საერთაშორისო თემატური გასართობი კომპლექსი გახდა. მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, ის ტურისტებს ისეთი ქვეყნებიდან მიიზიდავს, რომლებშიც მსხვილი თემატური გასართობი პარკები არ არის.

ვარაუდობენ, რომ პარკს ყოველწლიურად 20 მილიონი ადამიანი დაათვალიერებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ოთხშაბათი 5 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. შეგვიძლია თუ არა" მარადიულად ცხოვრება **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი."პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.30** მხ/ფ "**ჩიტი მავთულზე**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. გამოქვაბული" **19.00** ქართ. ტ/ფ. "**ქვევრი**" **19.30** საფეხბურთო მიმოხილვა **19.55 ფეხბურთი.** მსოფლიოს **2018** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **საქართველო - ავსტრია.** პირდაპირი **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.20** მხ/ფ "**სინანული**" **00.30** მხ/ფ "**მოტყუებული**"

**08.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** მინი/სერ "**უკანასკნელი საზღვარი**" **12.00** ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016**" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **1** სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **1** სერ. **22.00** ღია ეთერი – თოქ შოუ **00.00** მხ/ფ "**ჩამჭვევი**" **02.30** მხ/ფ "**რა სურთ ქალებს**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** არჩევანი **- 2016.** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **09.00** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 02.35** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**" ნაწ. III. **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **19.30** სერ. "**მენტალისტი**" **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **1** სერ. **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **00.30** მხ/ფ "**300**"

**06.15** ივერიის ეკლესია "საეკლესიო სეპარატიზმი სამცხეში" **06.35** პატერიკი-ღირსი დედეა მარიამ ეგვიპტელი **06.45** ქართული ალბომი "მეც უნდა ვიყო შენი პოეტი-ფრიდონ ხალვაშის ოჯახი" **07.20** ჩვენი საგანძური "ღვთისმშობლის ხატი "მსწრაფშემსმენელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ცისფერი მთები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში "გივი შახნაზარი" **16.00** დ/ფ "ველური ბუნება" **17.00** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" **17.25** საყმაწვილო ენციკლობედია **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**აბეზარა**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-ეფრემი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა "ქვათახევის მამათა მონასტერი **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **00.25** "ტალანტები და თაყვანისმცემლები "ელდარ შენგელია" **01.00** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **1** ნაწ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 0.00** სერ. "**მოლოდინის სია**" **11.05** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2938 | ევრო — 2.5642 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0418 | 100 რუსული რუბლი — 3.4875 |

## ამინდის პროგნოზი 5 სექტემბრისთვის





## 3 სექტემბრიდან




ვახუშტი კოტეტიშვილი

**აკლდამა ჩემთა ოცნებათა**

ქალბატონი ნანა კოტეტიშვილის მიერ შედგენილ კრებულში შესულია პოეტის როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ლექსები, რომლებიც მანამდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 2 სექტემბრიდან

ჯონ სტაინბეკი

**რუსული დღიური**




სადილად ოთხასი გრამი არაყი, დიდი თასი სავსე შავი ხიზილალით, კომბოსტოს წვნიანი, სტეიკი, შემწვარი კარტოფილი, ყველი და ორი ბოთლი ღვინო მოგვართვეს. ას ათ დოლარამდე დაგვიჯდა ხუთ კაცს. იმ დროს საელჩოში დოლარად თორმეტ რუბლს ყიდულობდი. მომსახურებისთვის ორსაათ-ნახევარი დასჭირდათ, რამაც ოდნავ შეგვაშფოთა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ შეკვეთის ასე გვიან მოტანა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ყოფილა და ისიც გავიგეთ, რა არის გაჭიანურების მიზეზი.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 6 სექტემბრიდან

ანდრეი ბელი

**პეტერბურგი**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 8 სექტემბრიდან



ანა პოლიტკოვსკაია

**პუტინის რუსეთი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 9 სექტემბრიდან



უილიამ ფოლკნერი

**სული რომ ამომდიოდა**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




## იუმორი

კლიენტი ოფიციანტს თავისთან უხმობს და ეკითხება:

– თქვენს საფირმო კერძთან მისაყოლებლად რომელ ღვინოს მირჩევთ, მშრალს თუ ნახევრად მშრალს?

– ქალბატონთან ერთად ხართ?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– და რომელ ქალბატონთან ერთად, ახლახან საცეკვაოდ რომ გავიდა?

– დიახ.

– მაშინ, აჯობებს, არაყი შეუკვეთოთ.

●●●

80 წლის მამაკაცი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, სექსის მერე ყურებში შუილის ხმა მესმის... ეს რა არის?

– ბაბუ, ეს აპლოდისმენტებია, აპლოდისმენტები!!!

●●●

დაქალები ჯეიმს ბონდზე ფილმს უყურებენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– მეც ვისურვებდი მკვლელობაზე ლიცენზიის ქონას.

– კი მაგრამ, შენ ხომ მანქანის მართვის მოწმობა გაქვს...

●●●

კაცი ჭიშკარზე აკაკუნებს. უცბად ძაღლმა მიირბინა და ეუბნება:

– ვერ ხედავ, სახლში არავინაა.

კაცს მოულოდნელობისგან გული წაუვიდა. ბოლოს გონს მოსულმა თვალი გაახილა და ხედავს, თავზე ისევ ის ძაღლი ადგას და ეკითხება:

– ძაღლო, კი მაგრამ, ყეფა არ შეგიძლია?

– შენი შეშინება არ მინდოდა...

●●●

გვიან ღამით პარკში ახალგაზრდა ქალი მიდის. უცბად ბუჩქებიდან მამაკაცი გამოვა. ქალი წამოიკივლებს:

– ვაიმეეე, მამაკაცი. როგორ შემაშინეთ. დანახვისთანავე მივხვდი, რომ სექსუალური მანიაკი ხართ. ძალადობა, უხეშობა საჭირო არ არის, თანახმა ვარ უპრობლემოდ დაგნებდეთ, აი აქვე, აი, უკვე ვიხდი.

– საერთოდ ძაღლს ვასეირნებდი, დავკარგე და იმას ვეძებ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





# საქართველომ სლოვაკეთიც გაანადგურა

**სლოვაკეთი-საქართველო 63:94**
**(21:30, 8:22, 17:20, 17:22)**

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვაკეთში მნიშვნელოვანი გამარჯვება საკმაოდ იოლად მოიპოვა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა და მასპინძელთა ეროვნულ გუნდს წარმატების ყველანაირი იმედი თავიდანვე მოუსპო. ბრატისლავაში ჩატარებულ შეხვედრას უარყოფითი შედეგიც ჰქონდა – საქართველოს ნაკრებმა რიგი მიზეზების გამო 3 მოთამაშე უკვე პირველივე ტაიმში დაკარგა.

დავიწყოთ ანატოლი ბოისათი, რომლის მომავალ შეხვედრაში თამაშიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ბოისამ მეორე პერიოდში მძიმე ტრავმა მიიღო. დაცვაში ჩასვლის დროს მას დუდა სანაძე დაეჯახა და ანატოლის ცხვირი გაუტყდა. ის მედიკოსებმა ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

მეორე მეოთხედის ბოლო წუთზე, როცა საქართველოს ნაკრები 21 ქულით – 50:29 იგებდა, სლოვაკი მიხალ ბატკა ზაზა ფაჩულიაზე გადამეტებული უხეშობის გამო არასპორტულად დაჯარიმდა, რასაც კონფლიქტი მოჰყვა. მსაჯებმა დისკვალიფიკაციით დასაჯეს კონფლიქტში ჩართული ბესო ლეჟავა, ხოლო ინციდენტის

გაგრძელება მე-9 გვერდზე




## კიმ კარდაშიანი დაავადებას ებრძვის



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა აღიარა, რომ დაიღალა იმით, რომ ფსორიაზის გარეგნული გამოვლინების დაფარვა უწევს, რომელიც მას 2010 წლიდან აწუხებს. ამის თაობაზე 35 წლის კარდაშიანმა საკუთარ სპეციალურ გვერდზე ისაუბრა.

ტელევარსკვლავის თქმით, ქრონიკული დაავადება მის კანზე წითელ ლაქებს აჩენს, განსაკუთრებით კი – მარჯვენა ფეხზე.

– მე მათ დაფარვას თითქმის აღარც ვცდილობ. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ ვინაიდან ამის შესახებ ყველამ იცის, მაშინ რა საჭიროა მისი დამალვა? – დაწერა კარდაშიანმა.

კიმმა ასევე ისიც აღნიშნა, რომ მომავალში ამ დაავადებისგან განკურნების იმედი აქვს, მანამდე კი იმას ეჩვევა, რომ ის, უბრალოდ, საკუთარ ნაწილად აღიქვას. ტელევარსკვლავი ამჟამად სამკურნალო დიეტას იცავს და ასევე საცხსა და კორტიზონის ინექციას იყენებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი




**თარაზულად:** 1. ფრანგი მწერალი; 3. მზის სისტემის პლანეტა; 8. შვედი გეოგრაფი (1887-1974); 10. წერილობითი გამოწვევა დუელში; 11. ექსპოზიცია ანუ ...; 12. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 14. საუკეთესო ფეხბურთელი, მოჭადრაკე; 15. ბზიკი; 16. წრეწირის ნაწილი; 19. სიტყვის წინსართი – ფარულის, საიდუმლოს აღმნიშვნელი; 20. იაპონელი მეომარი ძველად; 21. ყელის ლორწოვანი გარსის ანთება.

**შვეულად:** 1. კუთხის შუაზე გამყოფი სხივი; 2. ფოტოაპარატების ფირმა; 3. ქალაქი იტალიაში; 4. გემის ან ავტომობილის გასავლელი გზა საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; 5. მარადმწვანე მაღალი ბუჩქი; 6. მდინარე საფრანგეთში; 7. მოწყობილობა, რომელიც გრაფიკულ ინფორმაციას იძლევა; 9. ჰიგიენური საშუალება; 13. ... ჩიმარო; 17. ჯუჯა კამეჩი; 18. მემამულე აღმოსავლეთ ქვეყნებში.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**